გაზეთი ბიეირია. „ვერსიას" ეერთი

ვერსია

№16 (1657) 10 — 16 მაისი ოთხშაბათი 2023 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

შსს-ს თანამშრომლებისთვის განკუთვნილი „პოლიციის ქალაქის" მშენებლობასთან დაკავშირებით, კაფსულის ჩადების ცერემონია გაიმართა

გოგებაშვილზე მომხდარი მკვლელობის უცნობი და ექსკლუზიური დეტალები

რა კონფლიქტი ჰქონდათ მოსწავლეობისას გიჩო მარგველაშვილსა და საბა სახოკიას და უკავშირდება თუ არა სისხლიანი „რაზბორკები" ბიზნესს

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

რა ქონებას ფლობს პრორუსი დეპუტატი, რომელიც ლგბტ პროპაგანდის შეზღუდვას გეგმავს

შვიდი სახლი, მიწის 12 ნაკვეთი, კავშირი რუსეთთან, ანგარიშები საქართველოსა და უცხოეთის ბანკებში – ფრიდონ ინჯიას ქონებრივი დეკლარაცია

მანანა არჩვაძე საკუთარ შვილს, ცოტნეს თაღლითობაში ადანაშაულებს

აურზაური პირველი პრეზიდენტის ოჯახში

შსს-ს თანამშრომლებისთვის განკუთვნილი „პოლიციის ქალაქის“ მშენებლობასთან დაკავშირებით, კაფსულის ჩადების ცერემონია გაიმართა

რამდენიმე დღის წინ, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის განკუთვნილ „პოლიციის ქალაქის“ მშენებლობასთან დაკავშირებით, კაფსულის ჩადების ცერემონია გაიმართა. კერძოდ, ერთ-ერთი შენობის საძირკველში, სიმბოლური კაფსულა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა და კომპანია „ანაგის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გოგოლიშვილმა ჩადეს.

პროექტის დასრულების შემდეგ, ბინა 1000-ზე მეტ პოლიციელს გადაეცემა

ცნობისთვის: საცხოვრებელი კომპლექსი „პოლიციის ქალაქი“ პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შენდება.

მშენებლობის დასრულების შემდეგ, პირველ ეტაპზე, 1000-ზე მეტი მოქმედი პოლიციელი და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი მიიღებს ბინას.

პროექტი „პოლიციის ქალაქი“ საბურთალოს რაიონში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე ხორციელდება. 6 ჰექტარ ტერიტორიაზე, 12 და 13-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსები აშენდება. საცხოვრებელ კომპლექსთან ერთად მოეწყობა გასართობი და სპორტული სივრცეები.

პოლიციელებს ბინები შეღავათიან ფასად გადაეცემათ – 1კვ.მ. ფართობზე 300 ლარს გადაიხდიან, დანარჩენ ღირებულებას კი სახელმწიფო დაფარავს.

„დღეს მიხარია, რომ ბატონ ვახტანგთან ერთად, მონაწილეობა მივიღე ამ ძალიან მნიშვნელოვან ღონისძიებაში. მოგეხსენებათ, ჩვენი გადაწყვეტილებით, დავიწყეთ „პოლიციის ქალაქის“ მშენებლობა, რომელიც გათვლილი იქნება 1000-ზე მეტ პოლიციელზე, ხედავთ, რომ სამუშაოები აქ უკვე დაწყებულია, მშენებელი კომპანია გვპირდება, რომ ძალიან მალე, დაახლოებით, ალბათ, ორ წელიწადში დასრულდება და ჩვენ 1000-ზე მეტ პოლიციელს გადავცემთ ბინებს“, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა „პოლიციის ქალაქის“ მშენებლობაზე სიმბოლური კაფსულის ჩადების ცერემონიის შემდეგ, ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, პროექტის ღირებულება, დაახლოებით, 125 მილიონი ლარია, საიდანაც პოლიციელები გადაიხდიან სიმბოლურ ფასს, ხოლო დანარჩენს დაფარავს სახელმწიფო.

„ამ პროექტის ღირებულება შეადგენს, დაახლოებით, 125 მილიონ ლარს. პოლიციელები გადაიხდიან სიმბოლურ ფასს, მე ასე ვიტყოდი, კვ.მ.-ში 300 ლარს, დაახლოებით, ასე გამოვა, დანარჩენ ხარჯებს მთლიანად დაფარავს სახელმწიფო, სამინისტრო და რაც მთავარია, მინდა ვაცნობო ჩვენს საამაყო, გმირ პოლიციელებს, რომ ეს პროექტი არ იქნება ერთჯერადი. „პოლიციის ქალაქების“ მშენებლობა გაგრძელდება მომავალშიც და ჩვენი, ჩემი სურვილიცაა, რომ ეს საკანონმდებლო დონეზეც იქნას გარანტირებული. მე მინდა, კიდევ ერთხელ, ჩვენს გმირ და საამაყო პოლიციელებს მადლობა ვუთხრა ყველაფრისთვის, იმისთვის, რომ იცავენ ჩვენს ქვეყანას, ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას, ჩვენს მოქალაქეებს და ჩვენი ხელისუფლების ვალდებულებაა, რომ ყველაფერი საუკეთესო გავუკეთოთ ჩვენს გმირ პოლიციელებს. კიდევ ერთხელ მადლობა ბატონ ვახტანგს და თითოეულ პოლიციელს“, – განაცხადა კაფსულის ჩადების ცერემონიალზე პრემიერმა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და ინიციატივისთვის საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მადლობა გადაუხადა.

„დიდი მადლობა, ბატონ პრემიერს. მისი ინიციატივა იყო პროექტი. ჩვენ მადლობა ვუთხარით და გაგვიხარდა ძალიან. როგორც უკვე გააჟღერა ბატონმა პრემიერმა, 1000 ბინა გადაეცემათ ჩვენს პოლიციელებს. დაახლოებით, ორ წელიწადში დასრულდება პროექტი. ძალიან მნიშვნელოვანია ყველა ჩვენგანისთვის და რაც მთავარია, თქვენც მოისმინეთ, რომ ეს არ არის ერთჯერადი, კიდევ გაგრძელდება და მომავალში სხვა პროექტიდან გადაეცემათ ჩვენს პოლიციელებს ბინები. დიდი მადლობა მთავრობას, პრემიერს მხარდაჭერისთვის“, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

მოსამართლეების სკანდალი – რა შედეგს მოიტანს საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნა

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ნაზი ჯანეზაშვილი: „რისკები დიდია, მაგრამ“...

ოპოზიცია პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას უშედეგოდ ითხოვს. სასამართლო სისტემაში სავარაუდო დანაშაულებრივი ფაქტების შესწავლის მიზნით, საგამოძიებო კომისიის შექმნა ოპოზიციამ დღის წესრიგში მას შემდეგ დააყენა, რაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა, „მნიშვნელოვანი კორუფციის“ გამო, სანქციები დაუწესა ყოფილ და მოქმედ მოსამართლეებს.

ხელისუფლება მოსამართლეებს მხარდაჭერას უცხადებს და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოყენებულ ზომას საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფად აფასებს.

საპარლამენტო უმრავლესობამ „მოსამართლეებისადმი სოლიდარობის“ ნიშნად, პლენარულ სხდომაზე არ გაიარა რეგისტრაცია კენჭისყრის დაწყებამდე. შესაბამისად, პროცედურულად, ისევ არ დადგა მოსამართლეთა საქმიანობაზე დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი, რასაც ოპოზიციიდან ხმების საკმარისი რაოდენობა აქვს. მოსამართლეთა საქმიანობის შემსწავლელი დროებითი კომისიის შექმნის იდეა საპარლამენტო ოპოზიციას ეკუთვნის. ამ თემაზე „ვერსია“ იუსტიციის საბჭოს ყოფილ არამოსამართლე წევრსა და ორგანიზაცია „სასამართლოს გუშაგის“ თავმჯდომარე ნაზი ჯანეზაშვილს ესაუბრა:

– მინდა, საზოგადოებამ იცოდეს, საგამოძიებო კომისიის შექმნა არ ნიშნავს, რომ რომელიმე მოსამართლეს დაიბარებენ და ამა თუ იმ საქმეზე მოსთხოვენ ანგარიშს. კონსტიტუციით აკრძალული და დაუშვებელია, რომ მოსამართლეს ვინმემ ანგარიში მოსთხოვოს. საგამოძიებო კომისიის შექმნა მნიშვნელოვანი იმისთვისაა, რომ მიუხედავად იმისა, ზედაპირზე დევს უამრავი რამ, ცნობილია, მოსამართლეები მდიდრდებიან და ბევრი ფაქტია გამოტანილი საჯაროდ ნეპოტიზმზეც, ამიტომაც მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტმა შეაჯამოს... მასალები, რაზეც ვსაუბრობ, „ენჯეოების“ მიერაა დადებული, არც ერთ სახელმწიფო ორგანოსაც კი არაფერი გაუკეთებია, რომ შეესწავლა კლანური მმართველობის შედეგები, თუ რა ფორმით ვლინდება ყველაფერი ეს და რას იწვევს კორუფციის თვალსაზრისით. ამიტომ, მნიშვნელოვანია, შეიქმნას საგამოძიებო კომისია სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ორგანოში. ოპოზიცია იქნება თუ ხელისუფლება, არ გავმიჯნავ, ნებისმიერი დეპუტატის ინტერესის საგანი უნდა იყოს, რომ შეისწავლოს სასამართლოში არსებული სიტუაცია. მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია ბევრი რამ, საგამოძიებო კომისიას აქვს სხვა ბერკეტები, რაც „ენჯეოს“, ცხადია, არ აქვს. ამიტომ, ეს მექანიზმები იქნება კარგად გამოყენებული, თუკი კომისია შეიქმნება.

– არსებობს მოსაზრება, რომ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიას, ერთგვარად, ფორმალური ხასიათი აქვს ანუ სხვადასხვა საკითხზე კომისია ადრეც შექმნილა, მაგრამ სამართლებრივად ვერაფერი გადაუწყვეტია...

– რისკები დიდია, მეც ვითვალისწინებ ამ რისკებს, მაგრამ აქტუალურია დღეს ეს საკითხი... აქვე, მინდა, ერთი რამ დავამატო – ისეთი მოსაზრება გაჩნდა, თითქოს სანქცირების გამო ითხოვს ვინმე საგამოძიებო კომისიის შექმნას. ასე არაა, ჩვენმა ორგანიზაციამ – „საქართველოს სასამართლოს გუშაგი“, სექტემბერში გამოაქვეყნა ინტერვიუ ანა ღელეყვასთან, მანამდე მეორე ყოფილ მოსამართლე ნათია ქუთათელაძესთან. ეს ადამიანები ინტერვიუებში საუბრობენ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა, მაგალითად, როგორ შედიოდა მასთან ლევან თევზაძე, მურუსიძეს როგორ ხვდებოდა... ასეთი დეტალებია ამ ინტერვიუებში აღწერილი, რაც საზოგადოებისთვის აქამდე ცნობილი არ იყო.

– ანუ, მოსამართლეზე ზეწოლის შესახებაა საუბარი?

– კი, აქ საუბარია არჩევნებზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებთან დაკავშირებით. ამ ორ ინტერვიუს მოჰყვა ბესო ალავიძის განცხადებებიც, რომელიც უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლეა და ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ჩვენ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოვითხოვეთ საგამოძიებო კომისიის შექმნა. ორი-სამი განცხადება გავაკეთეთ ამ თემაზე და დეკემბერში დარეგისტრირდა ეს ინიციატივა, ხათუნა სამნიძე და თეონა აქუბარდია არიან ინიციატორები. ყველაფერი ეს ხდებოდა იქამდე, ვიდრე სანქციების საკითხი იქნებოდა. უბრალოდ, სანქციებმა უფრო წამოსწია ეს თემა, გაამწვავა სიტუაცია და მნიშვნელობა შესძინა ამ საკითხს.

– როცა ამბობთ, საგამოძიებო კომისიის შექმნას რისკები ახლავსო, რას გულისხმობთ?

– რისკები არსებობს, რომ არ ილაპარაკონ რესპონდენტებმა, გამოძახებულმა პირებმა სათანადო ინფორმაცია არ მიაწოდონ კომისიას მიუხედავად იმისა, რომ კანონი ავალდებულებთ, სიმართლე თქვან. არსებობს იმის რისკიც, ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთოს, რომ ეს პროცესი ჩავარდეს და ხელი შეუშალოს სხვადასხვა ფორმით, ან ისე არ იქნას შესწავლილი ყველაფერი ეს, რისი მოლოდინიც აქვს საზოგადოებას – ეს რისკი არის, მაგრამ იმისთვის ვართ სხვადასხვა ორგანიზაცია და გამოცდილების მქონე ადამიანები, რომ შევიტანოთ წვლილი ამ საკითხში და მაქსიმალურად დავეხმაროთ საქართველოს პარლამენტს, თუკი ამის შესაძლებლობა გაჩნდება, რომ გამოიძიოს ყველაფერი.

– მას შემდეგ, რაც აშშ-ის წარმომადგენლებმა ახსნეს, რომ ეს სანქციები ეყრდნობოდა სანდო ინფორმაციას სასამართლო სისტემაში არსებული კორუფციის შესახებ, ეს იყო თუ არა საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ გამოძიება დაეწყო არა მხოლოდ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიას, არამედ, სამართლებრივ ორგანოებსაც?

– საქართველოში გამოძიების დაწყების საფუძველი არსებობდა ბევრჯერ და დღესაც არსებობს, თუნდაც ჟურნალისტური გამოძიებებიც მიუთითებს ამაზე, იგივე, მდიდარი მოსამართლეების თემა, როცა ერთი მოსამართლე უფრო მდიდარია ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა მოსამართლესთან შედარებით. ეს კითხვებს უნდა აჩენდეს, მაგრამ ხელისუფლება არაფერს აკეთებს. როცა სანქცირებაზე მიდგა საქმე, ნაცვლად იმისა, რომ ამაზე რეაგირება მოეხდინათ, თუნდაც გამოძიების დაწყების თვალსაზრისით და საგამოძიებო კომისია ნორმალური ხელისუფლების პირობებში უნდა გამხდარიყო შესაძლებლობა, გამოეკვლია ეს თემა, „ქართულმა ოცნებამ“ სოლიდარობა გამოუცხადა მოსამართლეებს! ამიტომ, მოლოდინია, რომ ხელისუფლება არაფერს გააკეთებს. „ქართული ოცნება“ და მურუსიძე ერთია, ფორმალურად, სხვადასხვა თანამდებობები უკავიათ ამ ადამიანებს, მაგრამ რეალურად, ეს არის ერთი მთლიანი ორგანიზმი და გამორიცხულია, ერთმა მეორის საქმიანობას ხელი შეუშალოს.

– სხვა რა პრეცენდენტები გახსენდებათ აშშ-ის მიერ სხვა ქვეყნის მოსამართლეების დასანქცირებაზე?

– მოსამართლეების სანქცირების პრეცენდენტები, რა თქმა უნდა, არის. თუ არ ვცდები, ბოლო ირანი იყო. ამიტომ, სანქცირების საკითხი მაღალ თანამდებობის პირებთან დაკავშირებით, აშშ-ის მხრიდან, დამკვიდრებული პრაქტიკაა იმ სახელმწიფოებთან მიმართებაში, სადაც არ არის დემოკრატიული პროცესები. რაც შეეხება სანქციის მასშტაბს, მოსამართლეების დასანქცირება იყო ძალიან სწორი გადაწყვეტილება. ხელისუფლება თუ რამეს აშავებს, ამაზე რეაგირება სასამართლოს უნდა ჰქონდეს, მათ ადამიანები უნდა დაიცვან და არა – პოლიტიკოსების ინტერესები. საქართველოში სასამართლო ამას არ აკეთებს და ამას კარგად ხედავს აშშ.

მთავარი – ეს ხალხი არის მდიდარი, ირაკლი შენგელია იქნება, მურუსიძე, თუ ჩინჩალაძე, ფინანსური თვალსაზრისით, მასშტაბები იმდენად დიდია, რომ საქართველო მათთვის არც არის საკმარისი, რომ ამ სიკეთეებით ისარგებლონ მაქსიმალურად. ამიტომ, ხშირად დადიან უცხოეთში, კადრებიც არსებობს ამის, მოგზაურობენ, „შოპინგობენ“... მათთვის, ეს სანქცია, ჩემი აზრით, ძალიან მტკივნეულია და ამიტომ არის ეს სწორი გადაწყვეტილება. როცა ხელისუფლება არაფერს აკეთებს, პირიქით, პოლიტიკურ სოლიდარობას უცხადებს და მაქსიმალურად აძლიერებს მათ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მეგობარი ქვეყანა გვეხმარება ამ ყველაფერში.

– მნიშვნელობა აქვს, თუ რა ვითარებაში ხდება ეს – ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს ველოდებით და რა როლს ითამაშებს მოსამართლეთა დასანქცირების თემა ამ გზაზე?

– სამწუხაროდ, ხელისუფლება სასამართლო რეფორმების თვალსაზრისით, ფაქტობრივად, არაფერს აკეთებს. მცირე ცვლილებები განახორციელა კანონმდებლობაში, რომელიც არ იყო პოლიტიკურად მნიშვნელოვანი მათთვის და ძალიან მალევე შეცვალეს კანონში ნორმები. სტატიაც გამოვაქვეყნეთ ამაზე – ორ თვეში შეცვალეს კანონმდებლობა იქ, სადაც პოლიტიკური ინტერესები არ ჰქონდათ. სხვათა შორის, კარგი ცვლილებები შევიდა ამ კუთხით, მაგრამ სხვა მხრივ არის სავალალო მდგომარეობა. არაფერი კეთდება, უკან-უკან მივდივართ და ერთ-ერთია სანქცირების თემა. ამაზე რომ ადეკვატური რეაგირება არ აქვს ხელისუფლებას, აბა, სხვა რაღა უნდა მიუთითებდეს კლანის არსებობაზე? მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლებას არაფრის გაკეთება არ უნდა.

როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, უდიდესი სურვილი მაქვს, დადებითი გადაწყვეტილება იქნას მიღებული კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით, მაგრამ ამის პარალელურად ვხედავთ, რომ ხელისუფლება სასამართლოსთან დაკავშირებით განსაკუთრებულს არაფერს აკეთებს.

გადის თუ არა საქართველოს ევროპული გზა ნიკა გვარამიას თავისუფლებაზე

ნინო დოლიძე

როგორ გახდა „ზვიადისტი“ მამის შვილი გავლენიანი ფიგურა – ეპიზოდები „მთავარის“ დაპატიმრებული გენდირექტორის ცხოვრებიდან

ისეთი ფონი იქმნება, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების, ან მინიმუმ, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღების გზა, თითქოს „მთავარის“ დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას თავისუფლებაზე გადის. გასაგებია, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელი და დღეს მედიამენეჯერად შერაცხული გვარამია უბრალო ფიგურა არ არის და მის შესახებ იგივე დასავლეთშიც ბევრი იციან, მაგრამ ამის მიუხედავად, რომელიმე ობივატელს, შესაძლოა, გაუჩნდეს კითხვა – რატომ არის მთავარი პროკურორის ყოფილი მოდგილე საქართველოს ევროპული სიმბოლო? აქვე, ისიც საინტერესოა, ოპოზიცია (მთლიანი თუ არა, ნაწილი მაინც) ჩვენს ევროპულ მომავალს მაინცდამაინც გვარამიას თავისუფლებას რატომ უკავშირებს და ამ კონტექსტში, მესამე პრეზიდენტს ინტენსიურად რატომ აღარ ახსენებს? ისე, ყურადღება თუ მიაქციეთ, „მთავარის“, ასე ვთქვათ, ეკრანიდან დიდი ხანია, გაქრა წარწერები „ჰეშთეგით“ – „თავისუფლებამიშას“, „თავისუფლებანიკას“. სხვათა შორის, „ჰეშთეგები“ კი გაქრა, თუმცა, სამაგიეროდ, ნიკა გვარამიას თავისუფლებისთვის სპეციალური მოძრაობაც კი შეიქმნა. ერთი სიტყვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ქართული პოლიტიკა ნიკა გვარამიას გარშემო ტრიალებს. ჰოდა, „ვერსიაც“ არქივიდან „მთავარის“ პატიმრობაში მყოფი დამფუძნებლის ე.წ. დოსიეს გთავაზობთ

„ნოემბრიდან ნოემბრამდე“

ამ პიროვნებაზე ყველამ ყველაფერი, თითქოს, ვიცით, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ვერსიამ“ ნიკა გვარამიას ალგორითმის ამოხსნა დაიწყო, აღმოაჩინა, რომ ამ „ცოდნის“ ფუნდამენტი მითები და ლეგენდებია. ასე, მაგალითად, იმ ადამიანების უმეტესობა, რომლებსაც „მთავარის“ გენდირექტორი გულზე არ ეხატებათ, ასპროცენტიანი სიზუსტით ამტკიცებენ, რომ ყბადაღებული ფილმი – „ნოემბრიდან ნოემბრამდე“, სწორედ მისი გადაღებულია. არადა, ეს სიმართლეს არ შეესაბამება.

ახლა, ისე არ გაიგოთ, რომ „ვერსია“ ნიკა გვარამიას ადვოკატობას ცდილობს, როგორ გეკადრებათ. ჩვენ, უბრალოდ, იმ ფაქტებით ვმსჯელობთ, რომელთა ნახვაც ინტერნეტში ნებისმიერ თქვენგანს შეუძლია. ჰოდა, თუკი იგივე Google-ის საძიებო სისტემაში ჩაწერთ სიტყვათა კომბინაციას – „ნიკა გვარამია+ნოემბრიდან+ნოემბრამდე“, აუცილებლად „ამოვარდება“ გვარამიას ინტერვიუ, რომელიც 2016 წლის თებერვლით თარიღდება და რომელშიც ზემოხსენებულ ფილმთან დაკავშირებით, გვარამია საინტერესო განცხადებას აკეთებს, თუმცა ვიდრე ამ ინტერვიუდან ამონარიდს შემოგთავაზებთ, შეგახსენებთ, დოკუმენტური ფილმი „ნოემბრიდან ნოემბრამდე“ ეკრანებზე 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების მერე გამოვიდა და მასში აქცენტი სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლზეა გაკეთებული. ეს, უტრირებულად რომ ვთქვათ, შეთქმულების, მაშასადამე, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლის, სახელმწიფო ხელისუფლების დამხობა-ხელში ჩაგდების მუხლია და თუკი ყველაფერ ამას ადამიანების სიცოცხლის ხელყოფა მოჰყვა, მაშინ ამბოხება-შეთქმულებაში მხილებულებს ოცწლიანი „გაციმბირება“ ემუქრებათ.

ახლა, რაც შეეხება ზემოხსენებულ ინტერვიუს, რომელიც გაზეთ „ქრონიკა+“-შია გამოქვეყნებული და რომელიც 2016 წლის 20 თებერვლით თარიღდება, ჟურნალისტი გვარამიას ეკითხება:

„– ნიკა, 2007 წელს, როცა ფილმს – „ნოემბრიდან ნოემბრამდე აკეთებდით, 315-ე მუხლი, რეალურად, პირველად თქვენმა ხელისუფლებამ გამოიყენა. იფიქრებდით თუ არა, რომ ამ ქვეყანაში დადგებოდა დრო და ამჯერად უკვე ამ მუხლით თქვენ წინააღმდეგ დაიწყებოდა გამოძიება?

– არ მიფიქრია, მაგრამ უნდა მეფიქრა, როცა ამაში ვმონაწილეობდი. მე ვფიქრობ, „ნოემბრიდან ნოემბრამდე“ გადაჭარბებაა და მე არ მაქვს მასთან კავშირი, თუმცა ცხადია, იმ გამოძიებასთან მაქვს. პირველი, რაც უნდა ვთქვა, რომ ბადრი პატარკაციშვილის საქმე ნამდვილად არ იყო თითიდან გამოწოვილი. მეორე, მედიასთან დამოკიდებულების ის ფორმა და ფართო პოლიტიკურ სპექტრთან დამოკიდებულების ის ფორმა, რაც მაშინ იყო, არა ჩემი გადაწყვეტილებით, მაგრამ ჩემი ჩართულობით, სწორი არ იყო. სამართლებრივად ყველაფერი რომ გამართული ყოფილიყო, პოლიტიკურად მი ზანშეწონილი არ იყო. ვფიქრობ, პოლიტიკურად ეს ყველა ზე დიდი შეცდომაა, რომელიც დამიშვია და რომლის გამოსწორებასაც ახლა ვცდილობ იმით, რომ მედიას ვუჭერ მხარს, მისი დამოუკიდებლობის ყველა გამოვლინებით“...

მოკლედ, ნიკა გვარამია ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ სკანდალური ფილმის – „ნოემბრიდან ნოემბრამდე“ ავტორი არაა, თუმცა როგორც მაშინდელი გენერალური პროკურორის მოადგილე, ამ ფილმის მომზადებაში მონაწილეობდა ანუ საგამოძიებო უწყების სახელით საზოგადოებას, სწორედ ის ელაპარაკებოდა და არწმუნებდა, რომ ცხონებული ბადრი პატარკაციშვილი და მაშინდელი სხვა ოპოზიციონერები (აქედან ნაწილი 2012 წელს, ხელისუფლებაში მოვიდა), სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულება-ამბოხს აწყობდნენ. ყველაფერ ამის გამო, გვარამიამ, ზემოხსენებული ინტერვიუს გარდა, ბოდიში სხვა დროსაც მოიხადა.

შეიძლება, ვინმემ თქვას, ბოდიში რომ წამალი იყოს, აფთიაქში გაიყიდებოდაო. კი ბატონო, ბოდიში შეღავათი ნამდვილად არაა, მაგრამ ნიკა გვარამიას ქარიზმაც სწორედ ისაა, რომ ბოდიშის მოხდა შეუძლია. სხვათა შორის, მან ბოდიში მას შემდეგაც მოიხადა, რამდენიმე წლის წინ, პირდაპირ ეთერში, მამუკა მდინარაძეს შეურაცხყოფა რომ მიაყენა.

„გადავახვიე. ვუყურე. ძალიან არ მომეწონა ჩემი თავი. ბოდიშს ვუხდი მაყურებელს, კორუფციაში ბრალდებისას ნერვებს რომ ვერ ვიმორჩილებ“, – დაწერა სკანდალური ღია ეთერის შემდეგ, ნიკა გვარამიამ სოციალურ ქსელში.

შტრიხები ოფიციალური ბიოგრაფიისთვის

მართალია, კარგი „შოუმენია“, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ნიკა გვარამია სხვა „სელებრითებივით“, პირად თემებზე ღიად ლაპარაკობს. ეს კი არადა, ინტერვიუებსაც იშვიათად იძლევა, რაც გასაკვირიც არაა – მედიის ძალა კარგად იცის და, ალბათ, არ უნდა, რომელიმე, გიორგი გაბუნიას მსგავსმა ჟურნალისტმა, ისეთი რამ „წამოაცდევინოს“, რასაც შემდეგ, ოპონენტები მისსავე საწინააღმდეგოდ გამოიყენებენ. ინტერვიუს ვინ ჩივის და, ინტერნეტში გვარამიაზე ოფიციალური ინფორმაციაც მწირია.

ქართული „ვიკიპედიის“ თანახმად, ნიკოლოზ (ნიკა) გვარამია 1976 წლის 29 ივნისს, სოხუმში დაიბადა, ესე იგი, დევნილია. სხვათა შორის, ერთხელ, ამ თემაზე „ნანუკას შოუში“ არცთუ ვრცლად ილაპარაკა... ერთხელ კი, სოციალურ ქსელში დაწერა:

„სოხუმელი ვარ (და ვიღაცის გაგებით, სოფლელი) და რასაც მივაღწიე, ყველაფერს ჩემით მივაღწიე. არასდროს, არავინ, არაფერში არ დამხმარებია. იოტისოდენითაც კი... სტუდენტობაში, გაჭირვებული და ღატაკი ლტოლვილი რომ ვიყავი, ოფიციანტად მუშაობა ჩემი ოცნება იყო, აუხდენელი. თავი რომ გამომეკვება და დედისთვის მომევლო (მამაჩემი ზვიადისტობის მოტივით გადახვეწეს ამ ქვეყნიდან), სწავლის პარალელურად, ყველაფრის კეთება მიწევდა – აბიტურიენტების მომზადებიდან დაწყებული (სუფთა და მაღალანაზღაურებადი სამუშაო), მშენებლობებზე აგურების თრევით და ვაგზალზე სხვისი ბარგის გადატანით დასრულებული. უწესიერესი მშობლები მყავდა, რომლებმაც, რაც მთელი ცხოვრება აგროვეს აფხაზეთში, ერთიანად დაკარგეს ყველაფერი და რა ვქნათ, „შარლატანი“ მშობლების ფულებით თუ ვერ წავედი უცხოეთში, იქ რომ მესწავლა, ძლივს დამემთავრებინა, მერე რუსეთში, გაუგებარი მანქანებით ფული მეშოვნა და ისევ ჩემი გზაზე დამყენებელი ამერიკა მეგინებინა.

მოკლედ, თქვენ თავზეც გავიარეთ ჩვენ, სოფლელებმა და ოფიციანტებმა, თქვე დროს აცდენილო, შეუმდგარო, უმომავლო ქაჯებო“.

ნიკა გვარამიას, ქართული „ვიკიპედიის“ მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული (1998 წელი). 2000 წელს, X-ფაილის დღევანდელი გმირი მუშაობას საადვოკატო კომპანია, შპს „სანდოში“ იწყებს, სადაც 2003 წლამდე საქმიანობს. ეს ზუსტად ის პერიოდია, როცა მომავალი რევოლუციონერები ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ, მოქკავშირის რეფორმატორული ფრთა აქტიურდება. უცნობია, გვარამიამ, იგივე, მიხეილ სააკაშვილი სად და რა ვითარებაში გაიცნო, მაგრამ ცნობილია, რომ მას ჯერ კიდევ სტუდენტობიდან კარგი ურთერთობა ჰქონდა კახა კუკავასთან. მოგეხსენებათ, „ვარდების რევოლუციის“ დროს, კუკავა ზვიად ძიძიგურის პარტიაში იყო. ისიც ცნობილია, რომ ზვიად ძიძიგური, როგორც საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას აქტიური მხარდამჭერი, შევარდნაძის ხელისუფლებამ მძიმე ბრალდებით დაიჭირა და სიკვდილის დასჯა რომ არ გაუქმებულიყო, უმაღლეს სასჯელსაც ვერ გადაურჩებოდა.

ასევე, ცნობილია, რომ ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი და მეგობარი იყო ნიკა გვარამიას მამა, ანაზორ გვარამია.

მას შემდეგ, რაც შევარდნაძეს გაემიჯნა, მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი დასაყრდენი, სწორედ ზვიადისტური მოძრაობის გარკვეული ფრთა გახდა. შესაბამისად, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ნიკა გვარამია სააკაშვილთან ძიძიგურის ხელშეწყობით მოხვდა... ამასთან, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ გვარამიასა და სააკაშვილის დაახლოებას ხელი ირაკლი ოქრუაშვილმა შეუწყო. ამის თქმის საფუძველს კი შემდეგი გარემოება იძლევა: „ვარდების რევოლუციამდე“, ოქრუაშვილს, როგორც ადვოკატს, „თელასთან“ ჰქონდა ურთიერთობა. 2003 წელს, გვარამიაც „თელასში“ მუშაობდა. იმდროინდელი მითოსით, „თელასი“ „ვარდოსნების“ ერთგვარი ბასტიონი იყო. ჰოდა, გონივრული ეჭვის საფუძველზე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ 2004 წელს, ნაცმოძრაობის საპარლამენტო სიაში, „რუსთავი 2“-ის დღევანდელი გენერალური დირექტორი, სწორედ ასე აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ 2004 წლის ვადამდელი არჩევნების შემდეგ, რევოლუციურ ლექს პარლამენტში ბევრი „შემთხვევითი ადამიანი“ შეჰყვა, თუმცა ნიკა გვარამია იმთავითვე გამორჩეული პერსონა გახდა. ყოველ შემთხვევაში, მან ნაცმოძრაობის მმართველ ელიტაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება მოახერხა, რაც გასაკვირი არცაა, რადგან ვინმეს მოსწონს თუ არა, ფაქტია: ეს ადამიანი ნიჭიერიც არის, განათლებულიც და ორატორობის ხელოვნებასაც ფლობს. ჯერ კიდევ სიყმაწვილეში, ნიკა გვარამია კლუბის – „რა? სად? როდის?“ წევრი იყო და ამ ინტელექტუალურ თამაშს კარგა ხანს თამაშობდა.

დასასრული მე-15 გვერდზე

თათია გოჩაძე
598-43-50-34

მანანა არჩვაძე საკუთარ შვილს, ცოტნეს თაღლითობაში ადანაშაულებს

აურზაური პირველი პრეზიდენტის ოჯახში

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის მეუღლე მანანა არჩვაძე, რომელსაც, შესაძლოა, დედობის უფლება ჩამოერთვას (გიორგი გამსახურდიამ ამ მოთხოვნით სასამართლოს მიმართა), კიდევ ერთ სკანდალში ეხვევა. ზვიად გამსახურდიას ვაჟის, ცოტნე გამსახურდიას მეუღლე ანა ჯაბაური აცხადებს, რომ უძლურებაში მყოფ შვილს მანანა არჩვაძე სასამართლოში უჩივის. საზოგადოებისთვის ცნობილია და „ვერსიაც“ არაერთხელ წერდა, რომ ცოტნე გამსახურდიას შეიარაღებული თავდასხმის შემდეგ საუბარი და მოძრაობა თითქმის არ შეუძლია და მას მკურნალობა დღემდე ინტენსიურ რეჟიმში უტარდება. ჯაბაურისვე განმარტებით, მანანა გამსახურდია შვილს კოლხურ კოშკში ცხოვრების საშუალებას არ აძლევს და ახლა უკვე ცოტნეს სამკურნალოდ გაყიდულ მიწასაც ედავება.

ცოტნე გამსახურდიას მეუღლე, ანა ჯაბაური: **„არსად გაგონილი, არსად ნანახი და არავის ჩადენილი – საკუთარი დედა უმწეო ცოტნეს თაღლითობაში საჯაროდ სდებს ბრალს და პროკურატურაში უჩივის! დაუჯერებელი ამბავი, რომელსაც მანანა არჩვაძე გუშინ „ტვ პირველის“ ეთერიდან, მისი წარმომადგენლის პირით აჟღერებს!**

იმავე წარმომადგენლის მიერ, სოციალურ ქსელშიც გავრცელდა არაერთი პოსტი, რომელშიც იგივე ნარატივია განმეორებული.

ცნობისთვის გეტყვით, რომ საქმე ეხება ცოტნეს კუთვნილებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, რომლის ხელში ჩასაგდებადაც, მისი ბიოლოგიური დედა ცოტნეს სასამართლოს ყველა ინსტანციაში, 5 წლის განმავლობაში (2012-2017 წწ.), უჩიოდა (აქვე აღვნიშნავ, რომ ეს დავა მხოლოდ ერთ-ერთია მრავალრიცხოვან დავათაგან, რომელსაც იგი ცოტნეს წინააღმდეგ მრავალი წლის განმავლობაში აწარმოებდა)“.

ანა ჯაბაური განმარტავს, რომ სასამართლომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი, რაღა თქმა უნდა, ცოტნეს საკუთრებაში დატოვა:

„ხოლო ახლა, როცა სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილი ცოტნე თავს ვეღარ იცავს, ქალბატონმა არჩვაძემ ახალი დავა წამოიწყო ცოტნეს წინააღმდეგ, ახლა უკვე პროკურატურაში და ახლა უკვე ცოტნეს უმწეობის იმედად.

ცხადია, ამ აბსურდულ დავას პერსპექტივა არ გააჩნია, მაგრამ ჩვენს უკიდურეს აღშფოთებას იწვევს ფაქტი, რომ ქალბატონი კადრულობს უსუსურ მდგომარეობაში ჩავარდნილი შვილის მისამართით სიტყვა – „თაღლითის“ გაჟღერებას და მიწის თაღლითური გზით მითვისებაში დადანაშაულებით, მისი რეპუტაციის შელახვას. ტალახს ესვრის პირს, რომელსაც პასუხის გაცემის შესაძლებლობა ამჟამად არ აქვს.

საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნულ უკიდურეს შეურაცხყოფას უმწეო ცოტნეს აყენებს საკუთარი წარმომადგენლის პირით, რომელიც თავს ადვოკატად და ექიმად წარმოგვიდგენს, თუმცა ამავდროულად, უხეშად არღვევს ექიმის, ეთიკურ და ადამიანურ ნორმებს, იყენებს რა, სალანძღავად სიტყვა – „დაუნს“, რაც აუცილებლად უნდა გახდეს სამედიცინო და იურიდიული ეთიკის განხილვის საგანი. იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ „ორუმაღლესგამოვლილ“ „ექიმ-ადვოკატს“ არა მარტო ელემენტარული პროფესიული ცოდნა, არამედ, წერა-კითხვისა და მართლწერის ელემენტარული ნორმებიც ვერ აუთვისებია.

ამ მიწის ნაკვეთის ხელში ჩაგდების დაუოკებელი სურვილით შეპყრობილმა ქალბატონმა, ცოტნესთან ერთად, გიორგის დისკრედიტაციაც განიზრახა და მიწის თაობაზე გიორგის შესახებაც ბინძურ ცილისწამებას ავრცელებს. ამიტომ, იმასაც აქვე გაცნობებთ, რომ ამჟამად მიწა უკვე გაყიდულია ცოტნეს ქონებრივი მხარდამჭერის – გიორგი გამსახურდიას მიერ (კონსტანტინესთან და ჩემთან შეთანხმებით), ცოტნეს შემდგომი ძვირადღირებული სარეაბილიტაციო პროექტების დასაფინანსებლად, რომლის საფასურის თითოეული თეთრის ხარჯვის გამჭვირვალობასა და მონიტორინგს, ჩვენივე მოთხოვნით, აწარმოებს სოციალური სააგენტო“.

ანა ჯაბაური განმარტავს, რომ მან ოფიციალურად განაცხადა უარი ცოტნე გამსახურდიას ქონებაზე:

„რაც შემეხება მე, ჯერ კიდევ სამი წლის წინ, საკუთარი სურვილით სასამართლოში შევიტანე მოთხოვნა, რათა ცოტნეს მთელი ქონება და ფინანსური საკითხები მხოლოდ გიორგის მხარდამჭერობის სფეროს საგანი გამხდარიყო, რის შედეგადაც სამუდამოდ ვთქვი უარი ცოტნეს ქონების თითოეულ კვადრატულ მეტრზე, კოშკი იქნება ეს, თუ მიწის ნაკვეთი“.

ჯაბაური დასძენს:

„ცხადია, არ ვაპირებთ აღნიშნული ქალბატონისა და მისთვის უპირობოდ მორჩილი და, დანარჩენი კაცობრიობისთვის უპირობოდ აგრესიული დაჯგუფების არანორმალური ქცევების განხილვა-შესწავლას. ეს, როგორც გიორგიმ აღნიშნა, ფსიქიატრიის პრეროგატივაა, მაგრამ უმწეო ადამიანისთვის არაერთი გამოუსწორებელი ზიანის მიყენების მოხერხების შემდეგ (ეს კიდევ ცალკე განსახილველი უზარმაზარი თემაა), ამხელა შეურაცხყოფის საჯაროდ გაჟღერების უპასუხოდ დატოვება ჩვენი უზარმაზარი თმენის ფარგლებშიც კი ვერ დაეტია!

გუშინდელ დღემდე ვთვლიდით, რომ ამ ქალბატონს საკუთარი შვილების წინააღმდეგ, წესების გარეშე ბრძოლის ყველა უზნეო მეთოდი უკვე ამოწურული ჰქონდა“...

ჯაბაურის აღნიშნულ განცხადებას ზვიად გამსახურდიას უფროსი ვაჟი, კონსტანტინე გამსახურდიაც გამოეხმაურა:

„სრული ზიზღი და გაკიცხვა 78 წლის ტოქსიკური, ბოროტი ძალებით შეპყრობილი დედაბრის მსგავს ქმედებებს. რატომ უკვირდა მავანს, როდესაც ვწერდით, რომ 2012-2017 წლებში, სასამართლოებში ათრია ჯერ კიდევ ფეხზე მდგომი ცოტნე. ახლა კი, უმწეო ცოტნეს გამოუცხადა ომი. ამ უპრეცედენტო, უანალოგო არსებამ მართლაც დაჩრდილა ყველა ნეგატიური პერსონაჟი, როგორც ქართულ, ისე მსოფლიო ლიტერატურაში“.

„ვერსიასთან“ ანა ჯაბაური, ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის ამჟამინდელ მდგომარეობაზეც საუბრობს:

„ცოტნეს მდგომარეობა სტაბილურია. გაუთავებელი სასამართლოების ნაწილის დასრულების შემდეგ, გარკვეული პროექტების წამოსაწყებად ხელ-ფეხი გაგვეხსნა. დღეს ცოტნე უკეთაა, ვიდრე რამდენიმე თვის წინ იყო. დიდი იმედი გვაქვს, რომ მალე სიტყვების წარმოთქმას დაიწყებს. მარცვლებს უკვე ამბობს. როგორც ყოველთვის, მილიმეტრობით წინსვლას ვაგრძელებთ და იმედს არ ვკარგავთ... შეიძლება, ცოტნე აშშ-ში წავიყვანოთ რამდენიმე კვირით სამკურნალოდ, შეიძლება, აქეთ ჩამოვუყვანოთ სპეციალისტები“...

რა ქონებას ფლობს პრორუსი დეპუტატი, რომელიც ლგბტ პროპაგანდის შეზღუდვას გეგმავს

მაკა რუხაძე

შვიდი სახლი, მიწის 12 ნაკვეთი, კავშირი რუსეთთან, ანგარიშები საქართველოსა და უცხოეთის ბანკებში – ფრიდონ ინჯიას ქონებრივი დეკლარაცია

ყოფილი ლეიბორისტი, შემდეგ – პატრიოტი და ახლა უკვე „ევროპელი სოციალისტი“ მოამზადებს კანონპროექტს, რომელიც ლგბტ პროპაგანდას შეზღუდავს. ფრიდონ ინჯიას მიაჩნია, რომ ლგბტ პროპაგანდა ანგრევს საქართველოს, ქართულ ოჯახს, სახელმწიფოს და დემოგრაფიულ მდგომარეობაზეც ცუდად მოქმედებს. ცოტა ხნის წინ, ინჯიამ 2008 წლის აგვისტოს ომის ფაქტების შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის შექმნაც მოითხოვა. მისი თქმით, საგამოძიებო კომისიამ უნდა დაადგინოს, 2008 წელს, შემოიტანა თუ არა ამერიკულმა ფლოტმა საქართველოში საბრძოლო მასალა ჰუმანიტარულ ტვირთთან ერთად... „ვერსია“ სკანდალური განცხადებებით ცნობილი დეპუტატის, ფრიდონ ინჯიას ქონებრივ დეკლარაციას გთავაზობთ, თუმცა მანამდე, მის ბიოგრაფიას გადავხედოთ.

ფრიდონ ინჯიას ბიოგრაფია

ფრიდონ ინჯია 1946 წლის 5 იანვარს, მარტვილში დაიბადა. პროფესიით ინჟინერი, მეცნიერი და პოლიტიკოსია. 1989 წელს დაამთავრა ლენინგრადის (ახლანდელი სანკტ-პეტერბურგის) კავშირგამბულობის ელექტროტექნიკური ინსტიტუტი.

1969-1970 წლებში, სსრკ-ს გემთმშენებლობის მრეწველობის სამინისტროს გემების ელექტროტექნიკისა და ტექნოლოგიის ცენტრალური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ინჟინერი გახლდათ; 1972-1980 წლებში – ლენინგრადის პროფესორ ბონჩ-ბრუევიჩის სახელობის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში ჯერ უფროსი ლაბორანტი იყო, შემდეგ ლაბორატორიის გამგე და ბოლოს – უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი; 1980-1984 წლებში – სსრკ კავშირგაბმულობის სამინისტროს მთავარი სამეცნიერო-ტექნიკური სამმართველოს უფროსი ინჟინერი გახლდათ; 1984-1992 წლებში – ლენინგრადის სამეცნიერო-სამრეწველო გაერთიანება „კრასნაია ზარიას“ ელექტრო-ტექნიკურ მოწყობილობათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ფილიალში ჯერ მთავარი ინჟინერი იყო, შემდეგ – დირექტორი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც ეს ორგანიზაცია ს/ს „ეგრისად“ გადაკეთდა, ინჯია მისი დირექტორი იყო, ბოლოს კი ს/ს „ეგრისის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

ფრიდონ ინჯიას შრომითი საქმიანობა დამოუკიდებელ საქართველოშიც საკმაოდ შთამბეჭდავი გახლდათ: 1992-1998 წლებში, ჯერ საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრის პირველი მოადგილე იყო, შემდეგ – მინისტრი; 1998-2000 წლებში – ს/ს „ეგრისის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და დირექტორია; 2000-2004 წლებში – საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი იყო, საარჩევნო ბლოკის – „შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ სახელით, მარტვილის საარჩევნო ოლქიდან; 2021 წლიდან – საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრია, ამჯერად საარჩევნო ბლოკის – „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ სახელით.

ფრიდონ ინჯია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი და ავტომატური ელექტროკავშირგაბმულობის კათედრის პროფესორია.

ქონებრივი დეკლარაცია

შვიდი სახლი, მიწის 12 ნაკვეთი, ანგარიშები საქართველოსა და უცხოეთის ბანკებში, ეს იმ ქონების ნაწილია, რომელსაც დეპუტატი ფრიდონ ინჯია ფლობს. იგი საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტში „პატრიოტთა ალიანსის“ სიით მოხვდა. შეგახსენებთ, რომ ოპოზიციის საყოველთა ბოიკოტის მიუხედავად, ინჯია პარლამენტში მაინც შევიდა და სამ თანაპარტიელთან ერთად, „ევროპელი სოციალისტები“ დააფუძნა.

ქონებრივი დეკლარაცია ფრიდონ ინჯიამ ბოლოს 2023 წლის მარტში შეავსო. დეკლარაციით ვიგებთ, რომ მან 186 075 ევროდ ვერტმფრენი შეიძინა. ოფიციალური დოკუმენტის თანახმად, ფრიდონ ინჯიას საკუთრებაშია ათეულობით მიწის ნაკვეთი თბილისსა და სხვადასხვა რეგიონებში, რამდენიმე არასაცხოვრებელი ფართი, რამდენიმე საცხოვრებელი სახლი და ძვირადღირებული სამი მანქანა.

ფრიდონ ინჯიას მანქანებს შორისაა: S 560 4 MATIC MAYBACH, რომელიც დოკუმენტის თანახმად, 136 000 ევროდ შეუძენია; Mercedec-Benz V 250 – 212 000 ლარად, ხოლო Mercedec-Benz S 500 – 274 000 ლარად.

მანქანების გარდა, ფრიდონ ინჯიას საკუთრებაშია ძვირადღირებული – 11 500-ლარიანი ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, 2016 წელს აჩუქეს.

ფრიდონ ინჯია 100%-იან წილებს ფლობს კომპანიებში: შპს „მედ პლუსი“, შპს „ახტელი“, შპს „მერანი საქართველო“, შპს „სისტემა – გაზი საქართველო“, შპს „მარტვილი პალასი“, შპს West Wines. ფრიდონ ინჯია 1005-იან წილს ფლობს შპს „დომინანტში“, რომელიც რუსეთში, მაგადანში მდებარეობს. გარდა ამისა, 94%-ს ფლობს შპს „მარჯა სისტემ ტურიზმში“, რომელიც თურქეთში, კერძოდ, ხოფაშია რეგისტრირებული. მთლიანობაში, ფრიდონ ინჯია 31 კომპანიაში ფლობს სხვადასხვა მოცულობის წილებს. რაც შეეხება მეუღლეს, ლალი რუხიას, მის საკუთრებაშია ორ კომპანია – სრულად და ორიც – ნაწილობრივ.

სხვათა შორის, ფრიდონ ინჯიას საკმაოფ მჭიდრო კავშირი აქვს რუსეთთან და ეს მხოლოდ იმაში არ გამოიხატება, რომ წლების წინ, განათლება სანკტ-პეტერბურგში მიიღო. ფრიდონ ინჯიას, მის მეუღლე ლალი რუხაიას და ორ შვილს – რუსეთ-საქართველოს ორმაგი მოქალაქეობა აქვთ. ლალი რუხაიას საკუთრებაშია 40 კვ.მ. ფართობის ბინა მოსკოვში, კოშტოიანცას ქუჩაზე.

დიდი ფულაობა აფხაზეთის მთავრობაში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა უწყებების შესყიდვებით დაინტერესდა. დასკვნა, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, საკმაოდ სკანდალური აღმოჩნდა. აუდიტის პროცესში გაირკვა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ, მთელი რიგი შესყიდვების შესახებ დოკუმენტაცია საქართველოს გენერალურ პროკურატურაში იყო გადაგზავნილი. შესაბამისად, ეს კონკრეტული შესყიდვები აუდიტორებმა ვეღარ შეამოწმეს. სკანდალური დასკვნა ეხება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ, 2020-2021 წლებში განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებს.

ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში

დავიწყოთ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვაში აღმოჩენილი დარღვევებით. შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს უნდა ახორციელებდეს წინასწარ განსაზღვრული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული კანონის მოთხოვნები (შესაფერისი ინფორმაციის შეგროვება, სათანადო შესწავლა და ანალიზი), რათა სახელმწიფო შესყიდვები უზრუნველჰყოს რაციონალურად და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით.

„რვა შემსყიდველ ორგანიზაციაში შესყიდვის საჭიროებები არ განსაზღვრულა რაციონალური გათვლებისა და ანალიზის საფუძველზე. საჭირო შესყიდვების სწორად და რაციონალურად დასაგეგმად არ იყო ჩამოყალიბებული მართლზომიერი პრაქტიკა. აღნიშნულ პირობებში, აუდიტის ობიექტებზე სახელმწიფო შესყიდვის წლიური გეგმებს სხვადასხვა დროს, 2020-2021 წლებში, შესაბამისად, 309 და 354 ახალი პოზიცია დაემატა შესყიდვის ახალი ობიექტის სახით, რაც თანხობრივად 874 040 ლარს და 1 118 100 ლარს შეადგენდა, თუმცა შესყიდვის გეგმის თავდაპირველ ვერსიაში არ იყო გათვალისწინებული“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორების დასკვნის მიხედვით ირკვევა, რომ აუდიტის ობიექტებზე შესყიდვების სამსახურების მიერ სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შედგენის საკითხისადმი არაჯეროვანი დამოკიდებულების გამო, იქმნებოდა სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების არაეფექტიანად ხარჯვის რისკები. გარდა ამისა, აუდიტის ობიექტებში შესყიდვების გეგმებთან მიმართებით, ჯამში 90 030 ლარით გადაჭარბებული საკასო შესრულება დაფიქსირდა, რაც გამოწვეული იყო შესყიდვების გეგმის მართვის პროცესში არსებული არასრულყოფილი კონტროლის მექანიზმებით და სახაზინო გადარიცხვების დროს დაშვებული შეცდომებით.

დარღვევები ბაზრის კვლევაში

კანონის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია მოქმედი კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით, ვალდებული იყო ჩაეტარებინა ბაზრის კვლევა, რომლის შედეგებსაც გაითვალისწინებდა შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შედგენისას.

„ორ შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის დროს, ბაზრის კვლევა არ ჩატარებულა, ან ჩატარებული კვლევა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. აღნიშნული გარემოება არ ემსახურებოდა პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნებს. ბაზრის არასათანადო კვლევის შედეგად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არასწორად იყო განსაზღვრული. პროცესი არ იყო ფორმალიზებული და ვერ დგინდებოდა, რომელი მეთოდით ხდებოდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა. 2021 წლის 6 დეკემბერს, იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი აფხაზეთიდან დევნილი სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის სხვადასხვა სახის 11 642 ლარის სამშენებლო მასალების შესასყიდად. დადგინდა, რომ სავარაუდო ღირებულება დასაბუთების გარეშე განისაზღვრა ბაზრის კვლევის ეტაპზე მოწოდებულ მინიმალურ ფასებზე 1 400 ლარით მეტი ღირებულებით. აღნიშნულით არ იქნა დაცული ეკონომიურობის პრინციპი“.

ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში და სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები – რა საქმეს იძიებს საქართველოს გენერალური პროკურატურა

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ, 2021 წლის 12 თებერვალს, გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ბალანსზე რიცხული 9 ერთეული ავტომანქანის შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 983 388 ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პრეტენდენტმა, მათ შორის, მინიმალური შეთავაზების ღირებულება 269 094 ლარი იყო, რაც შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე 714 294 ლარით ანუ 72%-ით ნაკლები გახლდათ.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ობიექტებზე შესყიდვების სამსახურის მიერ საქმისადმი არაჯეროვანი დამოკიდებულებისა და კანონმდებლობის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის პირობებში, სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების არაეფექტიანად ხარჯვის რისკები იქმნებოდა.

ხარვეზები და ინტერესთა კონფლიქტი ტენდერებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ 2020 წლის 7 თებერვალს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ავტომანქანის შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებაზე. სატენდერო პირობებში წარმოდგენილი მოთხოვნის მიხედვით, პრეტენდენტს, მინიმუმ, ერთი სერვის-ცენტრი მაინც უნდა ჰქონოდა 5 კმ-ის რადიუსში.

„ამ შეზღუდვის გამო, ტენდერში მონაწილეობა არავის არ მიუღია, შესაბამისად, ტენდერი არ შედგა. მოგვიანებით, როდესაც ტენდერის ხელმეორედ გამოცხადებისას, რადიუსად 7 კილომეტრი განისაზღვრა, ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა. 2021 წელს გამოცხადდა ტენდერი იმავე მომსახურებაზე, სადაც მდებარეობის დაშორების შეზღუდვა არ იყო მითითებული. შედეგად, ტენდერში ხუთმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა და შესყიდვა განხორციელდა კონკურენტულ პირობებში. შესაბამისად, სატენდერო პირობების არარაციონალურად ჩამოყალიბებამ გამოიწვია ის, რომ ერთ შემთხვევაში, ტენდერი არ შედგა, ხოლო მეორე შემთხვევაში, ტენდერი ჩატარდა არაკონკურენტულ გარემოში“.

გარდა ამისა, უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 20 აგვისტოს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ავტომანქანის ძრავის შეკეთებაზე. ამ ტენდერშიც მითითებული იყო მოთხოვნა, შემსყიდველის 7 კმ-ის რადიუსში განლაგებაზე. მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრედენდენტმა, შესაბამისად, ტენდერი ჩატარდა უკონკურენტო გარემოში.

2021 წლის 12 აგვისტოს, განათლების სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი მობილური აპლიკაციის – „აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის“ შესყიდვაზე. ტენდერი შეწყდა სატენდერო დოკუმენტაციის არასწორად შედგენის გამო. კერძოდ, სატენდერო დოკუმენტაციის შედგენისას დაშვებულ იქნა ტექნიკური ხარვეზი და ვერ განხორციელდა სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი პუნქტის სწორი ფორმულირება.

„2020 წლის 26 ნოემბერს, სსიპ „კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტომ“ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ბეჭდვით მომსახურებაზე, რომელიც სატენდერო პირობების არასწორად წარმოდგენის შედეგად, კომისიის გადაწყვეტილებით შეწყდა.

დასასრული მე-8 გვერდზე

დიდი ფულაობა აფხაზეთის მთავრობაში

მე-7 გვერდიდან

კონკრეტულად, სატენდერო კომისიის წევრმა სატენდერო კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, სადაც აღნიშნული იყო მოთხოვნა გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში დაშვებული ტექნიკური შეცდომის შესახებ. კერძოდ, წინადადების მიღება 2021 წლის 4 იანვარს არ შეესაბამებოდა რეალობას, შესაბამისად, „ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების“ სახელმწიფო შესყიდვა ვერ განხორციელდებოდა აღნიშნული თარიღის პირობებში“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ განათლების სამინისტროს მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებულ გამარტივებულ შესყიდვებში შერჩეული 30 შემთხვევიდან, 26 შემთხვევაში, ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ ხელწერილებზე წარდგენილი იყო მხოლოდ განათლების სამინისტროს შტამპი (ხელმოწერა), ხოლო უშუალოდ შესყიდვის პროცესში მონაწილე პირების ხელმოწერები არ ფიქსირდებოდა.

„კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებულ გამარტივებულ შესყიდვებში შერჩეულ 32 შემთხვევაში, ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ ხელწერილებზე წარდგენილი იყო სააგენტოს დირექტორის ხელმოწერა, ხოლო შესყიდვების კოორდინატორის ხელმოწერა არ ფიქსირდებოდა.

დევნილთა სამინისტროს მიერ, 2020-2021 წლებში განხორციელებულ გამარტივებულ შესყიდვებში შერჩეული 60 შემთხვევიდან, 36 შემთხვევაში, ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ ხელწერილებზე წარდგენილი იყო მხოლოდ სამინისტროს შტამპი (ხელმოწერა), ხოლო შესყიდვების მიმართულებით დასაქმებული პასუხისმგებელი პირების ხელმოწერა არ ფიქსირდებოდა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ სატენდერო პირობების განსაზღვრაში დაშვებული შეუსაბამობების გამო, ვერ იქნა უზრუნველყოფილი სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა. მოქმედი კანონის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობითა და არასათანადო კონტროლის მექანიზმების არსებობის გამო, შეიქმნა ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის რისკები.

ხარვეზები შესრულებული სამუშაოს ხარისხში

სახელმწიფო აუდიტის მიხედვით ირკვევა, რომ შესაბამისი ხელშეკრულებებით შესრულებულ სამუშაოებზე მოქმედებს საგარანტიო ვადები, თუმცა შემსყიდველ ორგანიზაციებს გონივრულ ვადებში არ აღმოუჩენიათ ხარვეზები და არ გაუტარებიათ სათანადო ღონისძიებები მათი აღმოფხვრის მიზნით. 11 შემთხვევაში გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა, რაც უკავშირდებოდა სამუშაოების უხარისხოდ და არასრულად შესრულებას. ამ ობიექტებზე, 4 100 ლარამდე სამუშაოების შესრულება არ დადასტურდა.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, სსიპ „დევნილთა მომსახურების სააგენტომ“ მხოლოდ სამუშაოების დასრულების შემდგომ მიმართა სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ ფაქტობრივად განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის შესათანხმებლად. აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირდა არსებითი სახის ხარვეზები და დამატებითი შეთანხმებით სახელშეკრულებო ღირებულება, შესაბამისი დანართის გარეშე, გაიზარდა 19 000 ლარით, 217 000 ლარამდე.

„სადეზინფექციო მომსახურების ჩატარების მიმდინარეობისას, ობიექტების სადეზინფექციო სამუშაოების პარალელურად ახორციელებდნენ ფართების აზომვებს, თუმცა აზომვების დამადასტურებელი აქტები წარდგენილი არ ყოფილა. სამუშაოების ჩატარება არ დადასტურებულა აქტით – შესრულებულ სამუშაოებზე ფორმის მიხედვით, რაც მიანიშნებს, რომ არ შესრულდა სატენდერო დოკუმენტაციის პირობები. სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით, არასრულყოფილად შედგენილი აქტების, მითითებული ვადების გათვალისწინებით და ჩატარებული სამუშაოების საეჭვო მოცულობებიდან გამომდინარე, ფიქსირდება 107 750 ლარის საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის რისკები“.

პროკურატურაში გადაგზავნილი მასალები

ახლა, ვნახოთ, კონკრეტულად რა მასალებია გადაგზავნილი საქართველოს გენერალურ პროკურატურაში და კონკრეტულად რას იძიებს პროკურატურა.

2021 წელს, სსიპ „პროგრამებისა და სერვისების სააგენტოში“ განხორციელდა სულ 139 სახელმწიფო შესყიდვა და გაიხარჯა 469 702 ლარი. კერძოდ, ათი კონსოლიდირებული შესყიდვა – 20 137 ლარის საკასო ხარჯით; სამი ელექტრონული ტენდერი – 178 281 ლარის საკასო ხარჯით; 126 გამარტივებული შესყიდვა (ერთ პირთან მოლაპარაკება) – 271 283 ლარის საკასო ხარჯით.

„აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულყოფილად შეუსრულებლობის პირობებში (2 ელექტრონული ტენდერი და 39 გამარტივებული შესყიდვა) მიმწოდებლებზე გადარიცხულმა თანხამ, ჯამში, 314 971 ლარი შეადგინა, რაც სულ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებით გახარჯული თანხის 67.1%-ია. ამ თანხიდან ფიქსირდება: მატერიალური ფასეულობების დანაკლისი – 156 257 ლარი; შეუსრულებელი მომსახურება და სამუშაოები – 25 798 ლარი; დასაზუსტებელი სამშენებლო სამუშაოების მოცულობა (მიმდინარეობს საქართველოს პროკურატურის მიერ დანიშნული ექსპერტიზა) – 132 916 ლარი“.

ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ფინანსთა სამინისტროს მიერ (7 წერილით), უკვე გადაგზავნილია საქართველოს გენერალურ პროკურატურაში. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება, ხოლო ორ შემთხვევაში – გამოტანილია საქართველოს გენერალური პროკურატურის დადგენილება, სააგენტოს დაზარალებულად ცნობის შესახებ. აუდიტის პროცესში არ იყო შესაძლებელი საკმარისი მტკიცებულებების მოპოვება 2021 წელს პროგრამების სააგენტოში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნების გამოსატანად.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას 2021 წელს პროგრამების სააგენტოში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე.

სამართალი

№16 10 მაისი 2023 წ

გოგებაშვილზე მომხდარი მკვლელობის უცნობი და ექსკლუზიური დეტალები

რა კონფლიქტი ჰქონდათ მოსწავლეობისას გიჩო მარგველაშვილსა და საბა სახოკიას და უკავშირდება თუ არა სისხლიანი „რაზბორკები“ ბიზნესს

ბათო ჯაფარიძე

როგორც ოპოზიციური სატელევიზიო არხები გვიმტკიცებენ, საქართველოში კრიმინალმა იმატა. არადა, შს მინისტრის, ვახტანგ გომელაურის განცხადებით, ტელევიზიებს შესაძლებლობა აქვთ, გამოითხოვონ ოფიციალური მონაცემები და დარწმუნდებიან, რომ მათი ინფორმაცია მცდარია. დანაშაული არ გაზრდილა, მაგრამ როდის იყო, ჩვენში ვინმეს სიმართლე აინტერესებდა. აბა, სად ის, რომ ჟურნალისტი ბედნიერი სახით გეტყვის, დანაშაულმა იკლო, მშვიდად იყავით, ხალხოო და სად ის, რომ შეწუხებული, შეშფოთებული სახითა და ხმით გამცნობს, საქართველო 20-იანი წლების ჩიკაგო გახდა, კრიმინალმა იმ დონეზე იმატა, ქუჩაში გასვლა სახიფათოა, განსაკუთრებით, ღამის საათებშიო. მერე გაიხედავ და სწორედ ეს ჟურნალისტი, მეგობრებთან ერთად, სწორედ ღამის საათებში, რომელიმე კლუბს თავზე იმხობს და ზუსტად იცის, რომ შინ მშვიდად მივა...

რაც შეეხება 20-იანი წლების ჩიკაგოს, გარჩევები ამ ქალაქის ქუჩებში მართლაც ხდებოდა და ყველაფერი ალ კაპონეს სახელს უკავშირდებოდა – იტალიელი მაფიოზის, რომლისთვისაც პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო გზა, ამ პრობლემის მოშორება ანუ კონკურენტების მოკვლა იყო. ამიტომ, მისი „ქილერები“ ბოსის დავალებას სიამოვნებით ასრულებდნენ – ქუჩაშიც კლავდნენ, რესტორანშიც, სადალაქოშიც და ავტომობილშიც.

სამწუხაროდ, საქართველოში „ქუჩური გარჩევები“ არცთუ იშვიათად გვახსენებს თავს. ამას წინათ დავწერეთ, რომ ერთი შეხედვით, „უმიზეზო მკვლელობები“ ჩვენთან, წელიწადში ერთხელ მაინც ხდება. ვითომ არაფერი, ვიღაცამ ვიღაცას ესროლა და მთელი სამეზობლო თუ სამეგობრო ამტკიცებს, არ იყო ცუდი ბიჭი, ყველას უყვარდა, ყველას ეხმარებოდაო. სინამდვილეში, ყველაფერი ეს, ავბედითი 90-იანების გამოძახილია, იმ დროის, როცა სიმართლე იმის მხარეს იყო, ვისაც უფრო მეტი იარაღი ჰქონდა და იმ პერიოდში უმიზეზოდ ჩახოცილი ახალგაზრდობის გამო შურისძიება დღემდე გრძელდება. ჰო, დღემდე და... არცთუ იშვიათად, დაინახავთ 40-45 წლის კაცს, რომელიც ქუჩაში დაცვის თანხლებით გადაადგილდება. ფიქრობ, რად უნდა ამ ადამიანს დაცვა, ეგ კი არა, მილიონერები დადიან დაცვის გარეშე, აღარ არის ის დრო, ვინმე გაიტაცონ, ვინმეს გამოსასყიდი სთხოვონო.

საქმე ის გახლავთ, რომ ამ ადამიანებს ვენდეტის ეშინიათ, იმ ვენდეტის, რომლის აჩრდილიც მუდმივად თან დასდევთ და მოსვენებას უკარგავთ.

სანამ კონკრეტულად გოგებაშვილის ქუჩაზე მომხდარზე გადავალთ, გეტყვით, რომ დღეს დაცვით დედაქალაქში არა ერთი და ორი ადამიანი გადაადგილდება, ისეთი, ვისაც ეშინია, რომ წარსულში ჩადენილის გამო, მასზე შურს იძიებენ და იძიებენ არა მარტივად, არამედ, მკვლელობით, ქუჩაში ჩაცხრილვით. ასეთი საქმეები, როგორც წესი, ან მაშინვე იხსნება, ან გაუხსნელი რჩება. მეტსაც გეტყვით, გასულ ზაფხულს, ძველი ნაცნობი დავინახე, ღია კაფეში იჯდა და ლუდს წრუპავდა. გაღიმებული წავედი მისკენ და ასე, 4-5 ნაბიჯი რომ დამრჩა გადასადგმელი, გვერდითა მაგიდებიდან სამი ჯეელი წამოხტა, წინ დაუდგა და ხელი იარაღზე წაივლო. ოფიციალური დაცვა, რომელიც თურმე, მუდმივად თან ახლავს, ჩვეულებრივი დამსვენებლებისგან თუ კაფეს კლიენტებისგან არაფრით განსხვავდება, ყურადღებას არ იქცევს ანუ მათ, რომლებსაც ვენდეტის ეშინიათ, რეალურად, თან „მაგარი ტიპობა“ სურთ, აქაოდა, არაფრის გვეშინიაო და თან დაცვა დაჰყვებათ.

ახლა, ნამდვილად არ ვაპირებ იმის მტკიცებას, რომ გივი (გიჩო) მარგველაშვილისა და საბა სახოკიას დავა, სწორედ 90-იანებში დაიწყო, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ამბავი ერთი-ორი კვირის წინ არ დაწყებულა და ახლავე აგიხსნით, რატომ:

სახოკიას მეგობრები დადებითად ახასიათებენ და ეს არც არის გასაკვირი. მეგობარი თუ ჰქვია, გარდაცვალების შემდეგ კი არა, სიცოცხლეშიც დადებითად უნდა დაგახასიათოს. მას ჰქონდა ბიზნესი, ფინანსურად არ უჭირდა და როგორც ამბობენ, საკმაოდ დიდი სამეგობროც ჰყავდა, ბევრს ეხმარებოდა, თითქოს არავინ მტრობდა... აი, ეს მონაყოლი, ერთი-ერთში ემთხვევა არცთუ დიდი ხნის წინ მოკლული ბიზნესმენის ლევან კაჭარავას, იგივე, „ტილიკას“ ისტორიას. წყნეთის გზაზე ჩაცხრილული კაჭარავა ლამის მთელმა თბილისმა დაიტირა, ყველა ამბობდა, რომ მტერი არ ჰყავდა, რომ მუდმივად ყველას ეხმარებოდა, რომ მეგობრებისთვის საიმედო საყრდენი იყო და... კაჭარავა დაცვით არ დადიოდა ანუ რეალურად, არ ეშინოდა, დარწმუნებული იყო, რომ მისი მოკვლის სურვილი არავის ჰქონდა, თუმცა ფაქტია – მის მოსაშორებლად პროფესიონალი „ქილერები“ დაიქირავეს, რადგან საქმე ისეა შესრულებული, სამართალდამცავებს ხელმოსაჭიდი, ჯერჯერობით, არაფერი აქვთ. დღემდე ვერაფერი გაიგეს მისმა მეგობრებმაც, რომლებსაც არც სანაცნობო წრე უჭირთ, არც – ფინანსები, თუმცა ვინ და რატომ გაიმეტა ლევან კაჭარავა სასიკვდილოდ, ალბათ, უპასუხოდ დარჩება.

საბა გახოკია მარგველაშვილის მცველმა მოკლა. ძალიან საინტერესოა ისიც, რომ მარგველაშვილს არ ჰყავდა „ლიჩნიკები“, მას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან და ის ვისაც აგზავნიდა, იმით კმაყოფილდებოდა, თუმცა ბოლო შვიდი თვის განმავლობაში, გიჩოს კახაბერ კამლაძე იცავდა. ერთი შეხედვით, მცველმა იმოქმედა ისე, როგორც უნდა ემოქმედა – გამაფრთხილებელი გასროლაც განახორციელა გახოკიას მისამართით, ისიც კი დაიყვირა, შეჩერდი, პოლიციაა და მხოლოდ მას შემდეგ გახსნა ცეცხლი, რაც გახოკიამ მეორე იარაღი მიუშვირა.

ვიმეორებ: ეს ადვოკატის პოზიციაა, მაგრამ საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით არის აღძრული და ეს იმიტომ, რომ... კამლაძემ გახოკიას არარეგისტრირებული იარაღიდან ესროლა ანუ ის ორი იარაღით გადაადგილდებოდა, ერთი ოფიციალური იყო, მეორე – არაოფიციალური. უფლებას ვიტოვებ, ვივარაუდო, რომ არაოფიციალური იარაღი მისი საკუთრება არ არის და, უბრალოდ, ექსტრემალურ სიტუაციაში აერია.

მეგობრები იმასაც ამბობენ, რომ გახოკია და მარგველაშვილი ერთ სკოლაში სწავლობდნენ და ბავშვობიდანვე დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. სამუშაო ვერსიად ეს ნაკლებად გამოდგება, რადგან მათ სკოლა 20 წელზე დიდი ხნის წინ დაამთავრეს და რაც მთავარია, სკოლის პერიოდში ისეთი კონფლიქტი ნამდვილად არ ჰქონიათ, ერთმანეთზე მოსაკლავად გაეწიათ. ის, რომ გიჩო თავდასხმას ელოდა, დაცვის აყვანის სურვილიდანაც ჩანს და როგორც მისი მეგობრები გვეუბნებიან, სპეციალური დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები განგებ შეარჩია, რადგან პროფესიონალიზმით გამოირჩევიან და საჭიროების შემთხვევაში, დამხმარე ძალა ადგილზე ოპერატიულად მიდის. გახოკიამ, სავარაუდოდ, დეტალურად არ იცოდა, ან კონკრეტულ მომენტში დაცვის წევრი, უბრალოდ, ვერ შენიშნა, თორემ ასე ჯიქურ არ მივიდოდა მოსაკლავად და გასროლის შემდეგ, არ შეეცდებოდა ადგილი მშვიდად დაეტოვებინა. როცა ვამბობ, მოსაკლავად, ვგულისხმობ, მკვლელობის მცდელობას და არა იმას, რასაც ზოგიერთი ამბობს, დაჭრა უნდოდაო. როცა კაცს „ვინჩესტერის“ მარკის თოფიდან ესვრი, გამორიცხულია იმის განსაზღვრა, რომ აუცილებლად ფეხში მოარტყამ და თან ისე, არტერიას არ დაუზიანებ; წაქცეულს ზემოდან კიდევ ორ გასროლას რომ დააყოლებ, არ ნიშნავს, მოკვლა არ გინდა – გახოკია მარგველაშვილის მოსაკლავად იყო მისული, უბრალოდ, ვერ მოახერხა.

როგორც გარდაცვლილის, ისე დაჭრილის მეგობრები ამბობენ, რომ სადაო და გასაყოფი ბიზნესი იყო. ის ბიზნესი, რომელიც თითქოს არსაიდან შექმნეს, იმასაც ამბობენ, თავის დროზე, ერთმაც და მეორემაც ვიღაცას წაართვესო, თუმცა ამ ვერსიის ნამდვილობაზე თავს ვერ დავდებ. ფაქტია, ორივე მხარე ერთმანეთისკენ იშვერს ხელს, არა ის იყო კრიმინალი, არა – ისო.

გიჩო მარგველაშვილი რომ ნასამართლევია, ყველამ იცის და როგორც გვიყვებიან, მას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კრიმინალური ავტორიტეტები პატივს სცემდნენ. იმასაც ამბობენ, მარგველაშვილი ციხეს რამდენჯერმე მამისა და ბებიის ავტორიტეტმა გადაარჩინაო, თუმცა...

დაჭრილის მდგომარეობა მძიმეა და მკურნალობას რენიმაციულ განყოფილებაში გადის. დიდი ალბათობით, გამოძიება სიმართლეს დაადგენს, თუმცა გამორიცხულია, მარგველაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, რადგან მას არც იარაღი ჰქონია, არც უსვრია და გადარჩა. მთავარი ეჭვმიტანილი მკვდარია და ვერ გაასამართლებენ, მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ წელიწადში რამდენჯერმე, შუა ქუჩაში, ახალგაზრდები ერთმანეთს სასიკვდილოდ იმეტებენ, გულგრილად ესვრიან და კლავენ. ყველაფერ ამას, რიგითი ადამაინები მიეჩვივნენ, თითქოს, აღარც განიცდიან და მხოლოდ სოციალურ ქსელში გავრცელებული ვერსიებითა და ტყუილ-მართალით იკვებებიან.

სამოქალაქო ომმა, შემდეგ კი საძმოებმა და შეიარაღებულმა ბანდ-ფორმირებებმა თავისი კვალი დღემდე მოიტანა და არავინ იცის, როდის დაესმება ყველაფერ ამას წერტილი. ხომ ადვილი მისახვედრია, რომ ვიღაცას ვიღაცის მოსაკლავი ტყვია შენახული აქვს და შესაფერის მომენტს ეძებს, რათა საჭირო დროსა და საჭირო ადგილას გაისროლოს.

ზემოთაც გითხარით და ახლაც გავიმეორებ – საქართველოში არა ერთი და ორი ახალგაზრდა გადაადგილდება დაცვის თანხლებით და მათ ზუსტად იციან, რომ ვიღაცამ, შეიძლება, სასიკვდილოდ გაიმეტოს, თუმცა ამის შესახებ ხმამაღლა არაფერს ამბობენ. სამწუხაროდ, არც პოლიციას მიმართავენ – ეჭვი მაქვს, შეიძლება მომკლანო.

ცნობილი ბიზნესმენი დის საქმრომ სასიკვდილოდ დაჭრა

რა მოხდა მუხათგვერდში

ბათო ჯაფარიძე

დედ-მამიშვილებში ძმებს სხვანაირი ურთიერთობა და სიყვარული აქვთ, დებს – სხვაგვარი და ამბობენ, ყველაზე ძლიერი გრძნობა და-ძმას შორისააო. სავარაუდოდ, იმიტომ, რომ დები ძმებზე განსაკუთრებულად ზრუნავენ და პირიქით – ძმებს და ყოველთვის სუსტ სქესად მიაჩნიათ, ამიტომ ცდილობენ, დაიცვან, განსაკუთრებულად იზრუნონ მასზე...

მუხათგვერდში აგარაკების აშენება ახალი დაწყებული იყო, როცა ერთ-ერთმა ახლადგამომცხვარმა, წარმატებულმა ბიზნესმენმა მართლაც ლამაზი სახლი აიშენა და გადავიდა კიდეც საცხოვრებლად – სუფთა ჰაერია, თბილისურ ხმაურს მოცილებული ვარო. ჰოდა, სწორედ საკუთარ სახლში, როცა სპორტისთვის მოწყობილ პატარა ოთახში ვარჯიშობდა, ესროლეს. სახლიდან რამდენიმე ძვირფასი ნივთი გაქრა. რომ არა მეზობელი, რომლსაც საღამოს, საავადმყოფოში ავტომობილით წასვლა დასჭირდა, უგონოდ მყოფი ბიზნესმენი, ალბათ, სისხლისგან დაიცლებოდა. მეზობელმა რომ დაუძახა და არ გაიხედა, ეზოში შევიდა, სადაც კარი დაკეტილი დახვდა, ფანჯარაში შეიხედა და როგორც კი იატაკზე, სისხლში მცურავი ახალგაზრდა კაცი დაინახა, წამით არ დაფიქრებულა, ფანჯარა შეამტვრია, მამაკაცის უგონო სხეული მისსავე მანქანაში ჩადო და სავადმყოფოსკენ გააქანა. სულზე მიუსწრო – ექიმებმა გადარჩენა კი მოახერხეს, მაგრამ ბიზნესმენი კომაში იყო და ბოლომდე იმის თქმა, ნამდვილად გადარჩებოდა თუ არა, არავის შეეძლო. ძიება განზრახ მკვლელობის მუხლით დაიწყო და მთავარ ეჭვმიტანილად... ის მეზობელი გამოცხადდა, რომელმაც დაჭრილი იპოვა.

სამართალდამცავებს საამისო მიზეზიც ჰქონდათ – ექსპერტიზამ აჩვენა, რომ სახლის კარი გასაღებით იყო გაღებული, შიგნიდან კი უკვე მეზობელმა გააღო, როცა ფანჯარა ჩაამტვრია და სახლში შევიდა. ჰოდა, ძიების ვერსიით, მეზობელმა მამაკაცს ესროლა, შემდეგ ნივთები გაიტანა, შემდეგ ფანჯარა ჩაამტვრია და ვითომ სახლში იქიდან მოხვდა. პოლიციის ვერსიით, მეზობელს არ ეგონა, რომ დაჭრილს საავადმყოფომდე ცოცხალს მიიყვანდა, მაგრამ არ გაუმართლა, რადგან ბიზნესმენი გადარჩა. მოკლედ, მეზობელი დააკავეს, ექსპერტიზამ კი დაასკვნა, რომ კაცს კარაბინის ტიპის თოფიდან ესროლეს და რამდენიმე დღეში იმასაც იტყოდნენ, ვის სახელზე იყო კარაბინი გაფორმებული.

ბიზნესმენის ცოლ-შვილი იმ დროს თბილისის ბინაში იყო. თბილისში იყო მისი დაც, რომელსაც ორ კვირაში ქორწილი უნდა ჰქონოდა და საქმროსთან ერთად, საავადმყოფოში ათენებდა. ცოლს ნამდვილი შოკი ჰქონდა, არ იცოდა, რა ექნა, ფიქრობდა, რომ მის ქმარს ბიზნესის გამო დაესხნენ თავს, რადგან მტერი არ ჰყავდა და პოლიციას შვილების დაცვას სთხოვდა. ძალოვნებმა დაცვა იმ პალატასაც დაუყენეს, სადაც დაჭრილი იწვა და ექიმების გარდა, იქ შესვლა ყველას აუკრძალეს, ოჯახის წევრებსაც კი. დაკავებული მეზობლის ბინიდან ვერაფერი ამოიღეს, მის თითებზე კი ექსპერტიზამ დენთის კვალი იპოვა, რამაც ეჭვები უფრო გაამყარა, მაგრამ მამაკაცი ამტკიცებდა, წინა დღეს, ჩემი საკუთარი თოფი გავისროლე, სახლთან ტურები მოვიდნენ და მეშინოდა, ქათმები არ შეეჭამათო. რა თქმა უნდა, ძიებას ამ ვერსიის არ სჯეროდა და არ სჯეროდა იმიტომ, რომ მეტი ეჭვმიტანილი ფიზიკურად არ ჰყავდა. დაკითხეს ცოლიც:

„ჩემი ქმარი ოჯახზე გადაყოლილი იყო. ყველაზე მეტად, დაზე ნერვიულობდა, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც მან გათხოვება გადაწყვიტა. ამბობდა, ყოველდღე რომ ვეღარ დავინახავ, შეიძლება, გავგიჟდეო. განსაკუთრებულად უყვართ ერთმანეთი. სხვაობა 12 წელია, ჩემი ქმრის გაზრდილია და და არის, თუ შვილი, ვერც გაიგებთ, ბავშვივით ექცევა ხოლმე. მტერს რაც შეეხება, ვერ ვიხსენებ, რომ ოდესმე, მინიშნებით მაინც ეთქვას რამე შესაძლო საფრთხეზე. უფრო ქურდობის ვერსია მგონია. მართალია, სულ 2-3 ათასის ნივთებია წაღებული, მაგრამ ვიღაცისთვის ესეც საქმეა, თანაც იმ დღეს ჩემი ქმარი მანდ არ უნდა ყოფილიყო, ბოლო მომენტში თქვა, ავალ, სახლს დავხედავ და დავრჩებიო“.

სულ ეს იყო, რისი თქმაც მეუღლეს შეეძლო.

ოთხი დღის შემდეგ, ექსპერტიზამ დასკვნა დადო და კარაბინის მფლობელის სახელი და გვარიც თქვა. სამართალდამცავები მითითებულ მისამართზე გავიდნენ. კარი ახალგაზრდა კაცმა გააღო, როცა პოლიცია დაინახა, არც აღელდა, არც შეეშინდა, მშვიდად იკითხა, რა ხდებაო, მაგრამ როცა ჰკითხეს, თქვენი კუთვნილი კარაბინი სად არისო, გაეცინა და... ძალოვნებს კარი ცხვირწინ მიუხურა. პოლიციამ ისევ დააკაკუნა, ერთ-ერთმა ოპერმუშაკმა იარაღიც ამოიღო და მამაკაცის გაოცებული სახე რომ დაინახეს, ბინაში შესვლის ნებართვა ითხოვეს.

„თქვენ მართლა ხომ არ გადაირიეთ? ორი კვირის წინ, სანადიროდ ვიყავი, მაქვს ნადირობის უფლება, მაქვს თოფის საბუთი, ყველაფერი მაქვს და ვიღაც იდიოტმა ეგერმა თოფი ჩამომართვა, არასწორად არის საბუთი გაფორმებულიო და ახლა ველოდები, როდის დამიბრუნებენ. ახლა კიდევ თქვენ მოხვედით და იმ თოფზე მეკითხებით, რომელიც ორი კვირაა, გარემოს დაცვის დეპარტამენტში უნდა იყოს“, -უკმაყოფილება არ დამალა ახალგაზრდა კაცმა და თოფის ჩამორთმევის ქვითარიც ანახა, რომელზეც... ეგერის ხელმოწერა არ იყო. ახალგაზრდა კაცმა კეფა მოიფხანა, იმ დღეს ციოდა, მეც როლინგში მქონდა სახე დამალული და იმასაც, შეიძლება ვერც ვიცნო, მაგრამ ოფიციალური ფორმა ეცვა და საბუთიც მანახა, თუმცა არ დავკვირვებივარო.

გამომძიებლები გარემოს დაცვის დეპარტამენტში გაემგზავრნენ და გაარკვიეს, რომ კარაბინი არავის ჩაუბარებია ანუ გამოდიოდა, რომ იმ კაცს არც არავინ წაართვა რამე. ისევ ახალგაზრდასთან დაბრუნდნენ, მისი თითებიდანაც აიღეს სინჯი, სახლიც გაჩხრიკეს, მაგრამ არც სინჯმა აჩვენა დენთის კვალი და ბინაშიც, კარაბინიც ტყვიების გარდა, ვერაფერი იპოვეს. რაც მთავარია, მკვლელობის მცდელობის მომენტისთვის, ახალგაზრდას უტყუარი ალიბი ჰქონდა – სამხატვრო აკადემიაში ნატურის ნაცვლად იდგა 4 საათი და სტუდენტები ხატავდნენ. მთავარ ეჭვმიტანილად ისევ მეზობელი მოიაზრებოდა, თუმცა ექსპერტიზამ საინტერესო რამ თქვა – სახლის კარი, შესაძლოა, არა მთავარი გასაღებით, არამედ „დუბლიკატით“ იყოს გაღებული, ცოტა ნაკაწრები აქვსო. ვის შეიძლებოდა ჰქონოდა გასაღების ასლი? სახლის გასაღები სულ სამი იყო – ერთი – დაჭრილს, მეორე – მეუღლეს, მესამე – დას ჰქოდნა. მეუღლეს „დუბლიკატის“ გაკეთება არ დასჭირდებოდა, ქმრისთვის მკვლელი რომ დაექირავებინა, გასაღებს ათხოვებდა და სანამ პოლიცია რამეს გაიგებდა, გამოართმევდა კიდეც. დას ძმა თან ჰყვებოდა, სიძემაც იცოდა, რომ კარგი სამსახური გარანტირებული ექნებოდა და დისთვის ნაჩუქარ 4-ოთახიან ბინაშიც ლაღად გაშლიდა ფრთებს...

პოლიციის განყოფილებაში კერძო დეტექტივი მივიდა, დაჭრილის სახელი და გვარი ახსენა და შემდეგ თქვა, გამომძიებელთან მსურს საუბარიო. გამომძიებელი კერძო დეტექტივს ბოლო იმედად ჩაებღაუჭა. შინაგანად ისიც გრძნობდა, რომ მეზობელი არაფერ შუაში იყო და ტყუილად ჰყავდა გამოკეტილი.

„დაჭრილმა ბიზნესმენმა ერთი თვის წინ დამიქირავა, ერთი პიროვნებისთვის უნდა მეთვალთვალა. თვალთვალის შედეგად დავადგინე, რომ ეს პირი, ერთდროულად, რამდენიმე ქალს ხვდებოდა, ერთ მათგანზე დაქორწინებას აპირებდა, დანარჩენებს კი ატყუებდა და ბოლოს, ორთან კონფლიქტიც მოუვიდა, ერთ-ერთი შუა ქუჩაში, ღამით, სცემა კიდეც. ერთ ქალთან შვილიც ჰყავდა და გავიგონე, ერთ-ერთი შეხვედრისას როგორ ჰპირდებოდა, ცოლს მოვიყვან, ორ-სამ წელიწადში დავშორდები, მილიონერად დაგიბრუნდებიო“, – განაცხადა დეტექტივმა და მაგიდაზე... დაჭრილი ბიზნესმენის სასიძოს სურათი დადო.

სწორედ ამ დროს, გამომძიებლის კაბინეტში ერთ-ერთი ოპერმუშაკი შემოვარდა და ბოლო ხმაზე იყვირა – გარემოს დაცვის სამინისტროში ეგერად დაჭრილის სასიძო მუშაობსო. ეჭვის შეტანა აღარ შეიძლებოდა, მის დასაკავებლად ოპერჯგუფი მაშინვე გავიდა და... იმ დროს დააკავეს, როცა საავადმყოფოს დერეფანში, დაჭრილის დას ანუგეშებდა, გადარჩება, აბა, რას იზამს, ხომ იცი, მაგარი კაცია, ერთი ტყვია რას დააკლებსო?! როცა მას ბორკილებს ადებდნენ, დაჭრილის და ბოლო ხმაზე კიოდა, ძმა ხომ წამართვეს, ახლა საქმროს რატომ მართმევთო?! სანამ განყოფილებამდე მივიდოდნენ, დაკავებული თითქოს ძალიან გაოცებული იყო, მუდმივად იმას იმეორებდა, სისულელეს აკეთებთ, მაგრამ როცა კერძო დეტექტივის ჩვენება გააცნეს, ცოტა მოტყდა, ხელიდან აღებული სინჯის შემდეგ, დენთის კვალის არსებობაც დადასტურდა და სხვა გზა აღარ იყო – დაკავებულმა კარაბინის ადგილსამყოფელიც დაასახელა.

„მთელი ცხოვრება მინდოდა, ადამიანურად მეცხოვრა, მაგრამ უფულობის გამო, ეს არ გამომდიოდა. მდიდარ ქალს ვეძებდი, თუმცა სიყვარულით ის მიყვარდა, ვისთანაც შვილი მყავს. ეს გოგო ვიპოვე, მეგონა, ყველა პრობლემა მოგვარდა, მაგრამ ერთი კვირის წინ, ჩემმა მომავალმა ცოლის ძმამ დამიბარა და მითხრა, ათ დღეს გაძლევ, ჩემი დის ცხოვრებიდან ისე გაქრი, გული არ ეტკინოს, თორემ შენს ცოლ-შვილს გავაცნობო. მივხვდი, ყველაფერი წყალში მეყრებოდა, ამიტომ მისი მოშორება გადავწყვიტე. გასაღების „დუბლიკატი“ გავაკეთე და მომენტს ველოდი, როცა მუხათგვერდში მარტო ავიდოდა. ეს მომენტიც ჩამივარდა, ვესროლე კიდეც, მაგრამ მკვლელი არ ვარ, მეორე და მესამე აღარ მისვრია. მივხვდი, უდიდესი შეცდომა დავუშვი. რაღაც ნივთები ანგარიშმიუცემლად მოვაგროვე და წამოვედი, ყველაფერი ქურდებს რომ დაბრალებოდათ. რაც შეეხება კარაბინს, შემთხვევით გადავეყარე მონადირეს, შარი მოვდე და, პრაქტიკულად, წავართვი, არც გამიფორმებია სამსახურში. მეგონა, ვერ მიპოვიდით, ჩადენილს ვნანობ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ არ მომიკლავს“, – განაცხადა სასიძომ.

სასამართლომ დაკავებულს მკვლელობის მცდელობისა და იარაღის უკანონოდ მოპოვება-შენახვა-ტარებისთვის, 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ბიზნესმენი სიკვდილს გადარჩა, მისი და კი წლების შემდეგ... ძმის იტალიელ პარტნიორს გაჰყვა ცოლად.

ბათო ჯაფარიძე

თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, იმატა თაღლითურმა დანაშაულებმა. თავად განსაჯეთ, საკმარისია, თქვენი საბანკო მონაცემები ჩაუვარდეს ვინმეს ხელში და ანგარიშს ისე დაგიცარიელებთ, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებთ. არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა კონკრეტული პირები სადაზღვევო კომპანიების მოტყუებას ცდილობენ, მაგრამ თითქოს ამის გაკეთება ძნელია. ეს ერთი შეხედვით, თორემ თუ ამ მიმართულებით გამოცდილი ადამიანების ჯგუფი იმუშავებს, შედეგი აუცილებლად იქნება. რომ არა შემთხვევა, რომელსაც ერთი თაღლითი და გამოცდილი კრიმინალიც ვერ გაითვალისწინებდა, ხუთკაციანი ბანდა კიდევ კარგა ხანს მოახერხებდა სადაზღვევო კომპანიების გაყვლეფას და თან ისე, რომ აზრადაც არავის მოუვიდოდა, რა ხდებოდა სინამდვილეში.

ხუთკაციანი ბანდა, რომელმაც ქართული სადაზღვევო კომპანიები 200 ათასი დოლარით აზარალა

საეჭვო ავარიების სერია თბილისში და შარში გახვეული პენსიონერები

ყველაფერი რამდენიმე წლის წინ, ჩვენს დედაქალაქში მოხდა. ახალგაზრდა კაცი დაზღვევის აგენტად მუშაობდა ერთ-ერთ კომპანიაში, მაგრამ სამსახური რომ მობეზრდა და უფროსთანაც უთანხმოება მოუვიდა, მეორე სამსახურში წავიდა, ისევ სადაზღვევო კომპანიაში. მას დამტვრეული ავტომობილების შეფასება ევალებოდა და ეს საქმე ძალიან კარგად იცოდა. გამორიცხული იყო, კომპანიის ინტერესები არ დაეცვა, დაზიანების ხარისხი სათანადოდ არ შეეფასებინა, რაც სადაზღვევოს სოლიდურ თანხებს უზოგავდა. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, სწორედ ეს თანამშრომელი მივიდა კომპანიის ხელმძღვანელებთან და უთხრა, რომ ერთ-ერთ მანქანაზე ეჭვი გაუჩნდა ანუ მისი აზრით, ავარია სპეციალურად იყო მოწყობილი. კომპანიის დირექტორმა ავტომობილი გადაამოწმა და მშვიდად თქვა, გამორიცხულია, ორი წლის ავტოს ასე არავინ გაიმეტებდა, რადგან დაზღვევაც კი ვერ გადაუხდის იმდენს, რამდენიც რეალურად მანქანა ღირდაო. ეს თქვა დირექტორმა და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ ზუსტად ორ თვეში, საკუთარ სიტყვებს ინანებდა და უკან წაიღებდა.

ავტომობილის ღირებულება 35 ათას დოლარს უტოლდებოდა და გამორიცხული იყო, სადაზღვევოს ეს ფული გადაეხადა. დაზიანებული ნაწილების გამოცვლა, თუნუქის გასწორება, შეღებვა, ეს ფასი არ უნდა დამჯდარიყო, მაგრამ... როცა მაგიდაზე ექსპერტიზის დასკვნა დადეს, გასაკეთებელი ნაწილების ღირებულება 30 ათას დოლარს ასცდა. მანქანას, პრაქტიკულად, გაფუჭებული ჰქონდა ყველაფერი, რისი დამტვრევა-გაფუჭებაც კი შეიძლებოდა, ასე განსაჯეთ, სამუხრუჭე ხუნდებიც კი დამტვრეული იყო, გაღუნული იყო საბურავის სამაგრი დისკი, გახსნილი იყო ყველა „აირბაგი“, დამტვრეული იყო ყველა მინა. არადა, მანქანას ძველისძველი „ვაზ 21-06“ დაეჯახა და წესით, ასე არ უნდა მოესპო. კომპანიის დირექტორმა ის აგენტი გამოიძახა, რომელსაც ეჭვი ავარიაზე გაუჩნდა.

„როცა სხვა კომპანიაში ვმუშაობდი, მაშინაც ეს კაცი მოვიდა ანალოგიური პრეტენზიებით. რაც მთავარია, იმ შემთხვევაშიც ყველაფერი ზუსტად ასე იყო, როგორც ახლა და ეჭვი ამიტომ გამიჩნდა. შეუძლებელია, ავარიები და მის შემდგომ მომხდარი, წყლის ორი წვეთივით ჰგავდეს ერთმანეთს“, – განაცხადა აგენტმა.

და მაინც, რა მოხდა წინა ავარიის დროს? ავარია ისევ ძვირადღირებულ ავტომობილსა და საბჭოთა ჯართს შორის მოხდა. ძვირადღირებული მანქანის მეპატრონემ სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელი მაშინვე არ გამოიძახა, სამაგიეროდ, გამოიძახა პატრული, რომელმაც ავტოსაგზაო შემთხვევა ოფიციალურად დააფიქსირა და დაადასტურა, რომ უცხოური მანქანის მფლობელის ბრალი არაფერი იყო. შესაბამისად, სადაზღვევოს ყველა ხარჯი საბჭოთა მანქანის მფლობელისთვის უნდა დაეკისრებინა, მაგრამ როგორც პირველ, ისე მეეორე შემთხვევაში, აღმოჩნდა, რომ საჭესთან პენსიონერი იჯდა, რომელსაც არაფერი გააჩნდა. სამაგიეროდ, ძვირადღირებული ავტომობილის მფლობელს არ აინტერესებდა, რას მოიმოქმედებდა სადაზღვევო, მას დაზღვევის ფული უნდა მიეღო. ჰო, ორივე შემთხვევაში დაზღვევის აგენტი მანქანის მეპატრონემ ორი დღის შემდეგ გამოიძახა ანუ მას შემდეგ, რაც მანქანა ავტოსახელოსნოში გააჩერა. მოსადავებელი რეალურად არაფერი იყო, საპატრულო ეკიპაჟის წევრების მიერ გაფორმებული ოქმი კანონის სრული დაცვით იყო შედგენილი და სადაზღვევო ეჭვს უბრალოდ ვერ შეიტანდა. ის, რომ ავარიის ადგილზე ანტიფრიზი და სამუხრუჭე ზეთი ესხა, იმაზე მიუთითებდა, რომ მანქანის „რადიატორი“ და სამუხრუჭე სისტემა მოშლილი იყო.

სადაზღვევო კომპანიები ერთმანეთს დაუკავშირდნენ და შეეცადნენ, დეტალები გაერკვიათ. დადასტურდა, რომ ორივე შემთხვევაში, მანქანის შიგნითა ნაწილები სრულად დამტვრეული გახლდათ, დამტვრეული იყო აბსოლუტურად ყველა მინა, რაც ალოგიკური იყო, მაგრამ მეპატრონე ამბობდა, მანქანით რკინის ბოძები გადამქონდა და სწორედ მათ დაამტვრიეს მინებიო. დამტვრეული იყო ფარებიც და რაც მთავარია, ორივე შემთხვევაში, არსად იყო სათვალთვალო კამერა, რომელსაც ავარიის გადაღება შეეძლო. ორმა სადაზღვევომ სხვა სადაზღვევო კომპანებსაც მიაკითხა და გაირკვა, რომ ანალოგიური შემთხვევა მათაც ჰქონდათ, მაგრამ დაზარალებული სხვა პიროვნება იყო. გამოჩნდა კიდევ ერთი სადაზღვევო, ერთი-ერთში ჰგავდა ყველაფერი. ეჭვს არ იწვევდა, რომ საქმე თაღლითების ჯგუფთან ჰქონდათ, მაგრამ როგორ უნდა დაემტკიცებინათ ეს? ყველამ იცის, რომ საქართველოში სადაზღვევო კომპანიები დიდი ნდობით ვერ სარგებლობენ, ავარიის შემდეგ დაზარალებული რომ ძვირადღირებული მანქანის თაობაზე მხოლოდ ორი დღის შემდეგ იხსენებდა დაზღვევის არსებობას, მაშინვე არ რეკავდა და არ ითხოვდა აგენტის მისვლას, უცნაური კი არა, პრაქტიკულად, სასწაული იყო. სადაზღვევოებმა სამართალდამცავებს მიმართეს.

ძალოვნებმა ყველა საეჭვო შემთხვევის გამოძიება დაიწყეს და მიხვდნენ, რომ საქმე თაღლითების კარგად ორგანიზებულ ჯგუფთან ჰქონდათ. მათ ყველაფერი გათვლილი ჰქონდათ, თუმცა თუ ფაქტზე არ დაიჭერდნენ, დამტკიცება ძნელი კი არა, წარმოუდგენელი იქნებოდა. პოლიციელებმა საქმის ფიგურანტებიც მოიკითხეს, ის პენსიონერები, რომლებიც ავტოსაგზაო შემთხვევებში იყვნენ დადანაშაულებულები და მართალია, თავიდან ჯიუტობდნენ, მაგრამ მერე თქვეს, რომ საჭესთან საერთოდ არ მსხდარან, რომ ავარია სხვებმა მოახდინეს, მათ უბრალოდ დაიბრალეს და სანაცვლოდ, 200 დოლარი მიიღეს. ბრალდების მხარისთვის ეს საკმარისი მაინც არ იყო. მთავარი თაღლითობა მანქანის ნაწილებში იმალებოდა და გადაწყდა, რომ თაღლითთა ხუთკაციანი ჯგუფიდან, ყველაზე სუსტი რგოლი აეყვანათ და დაახლოებით, ორ-სამ საათში მოეხერხებინათ აღიარებითი ჩვენების მიცემა. ერთი შეხედვით, ეს ძალიან სარისკო საქმე იყო, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით – „სუსტ რგოლს“ სუსტი წერტილი ჰქონდა – პირობითი მსჯავრი, რომელსაც გაუცოცხლებდნენ და რეალურ სასჯელად უქცევდნენ. ეს მაშინ, როცა მისი მეგობრები, შესაძლოა, პირობითით, ან მინიმალური სასჯელებით გამომძვრალიყვნენ. ეჭვმიტანილის დაპატიმრება უხმაუროდ მოხდა, მას არც ადვოკატთან დაარეკინეს, არც – ახლობლებთან და უთხრეს, რომ მისი გადასაწყვეტი იყო, განყოფილებაში ორ-სამ საათს გაატარებდა, თუ ღამეს გაათევდა და შემდეგ ციხის გზას გაუყვებოდა. მიდგომამ გაამართლა – დაკავებულმა საუბარი დაიწყო.

„ყველაზე დიდი პრობლემა პენსიონერების მოძებნა იყო, რომლებიც დაგვთანხმდებოდნენ და დაიჯერებდნენ, რომ მათ არაფერი ემუქრებოდათ. ავარიის შემდეგ, მანქანა ჩვენს სახელოსნოში მიგვყავდა, ახალ ნაწილებს ვხსნიდით და დამტვრეულებს ვაყენებდით. მაგალითად, ახალი ფარი 1500 დოლარი ღირს, დამტვრეული, რომელიც აღდგენას არ ექვემდებარება, დაშლილებში 50-70 ლარად იყიდება. ორჯერ დაზიანებული ძრავიც ვიშოვეთ, ბლოკი იყო გახეთქილი, ახლის გამოწერა 12 ათასი დოლარი ჯდება, ვიწერდით და აქ, მოხსნილს, 10 ათასად მარტივად ვყიდდით. კიდევ ბევრი მცირე თუ დიდი დეტალია, რომლებსაც ცეცხლის ფასი აქვს. იგივე, გვერდითა მინები, საქარე მინა და რაც მთავარია, ახალ მანქანებს ყველაფერი ორიგინალი აქვს და ხელიდან გვტაცებდნენ. საერთო ჯამში, 19 ავტომობილი დავამტვრიეთ“, – განაცხადა დაკავებულმა.

მისი ჩვენების შემდეგ, დანარჩენი თაღლითების დაკავება პრობლემას აღარ წარმოადგენდა და ისინი ერთდროულად, დედაქალაქის სხვადასხვა უბანში აიყვანეს. გაირკვა, რომ საერთო ჯამში, მათ სადაზღვევო კომპანიებს 200 ათას დოლარამდე ზარალი მიაყენეს და რომ არა შემთხვევითობა, არავინ იცის, ეს სქემა როდემდე იმუშავებდა. ყველაზე საინტერესო კი მაინც სასამართლოს გადაწყვეტილება იყო. იმის გათვალისწინებით, რომ დაკავებულებმა სადაზღვევო კომპანიებს ზარალი სრულად აუნაზღაურეს, მათ პრეტენზია არ ჰქონდათ და მოსამართლეს შესთავაზეს კიდეც, თუ გნებავთ, გაუშვით, ჩვენ წინააღმდეგი არ ვართო. სასამართლომ ხუთივე დაკავებულს სიმბოლური სასჯელები ჩამოურიგა, სამ მათგანს პირობითი აკმარეს, ორს კი თითო წლით თავისუფლების აღკვეთა, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ძიება რვა თვეს გაგრძელდა, საპატიმრო, განაჩენის გამოცხადებიდან ოთხ თვეში დატოვეს. სამაგიეროდ, არაერთმა სადაზღვევო კომპანიამ, კლიენტთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში შეიტანა ცვლილება, რომლის თანახმადაც, კლიენტი ვალდებულია, ავარიის მომენტიდან, დაზღვევის აგენტს ერთი-ორი საათის განმავლობაში დაუკავშირდეს, თუ ამის ფიზიკური შესაძლებლობა ექნება. ორი-სამი დღის შემდეგ დაკავშირება საფუძვლიან ეჭვს აღძრავს თაღლითობის მცდელობაზე და სადაზღვევო გასაცემ თანხას მანამ არ შეელევა, სანამ არ დარწმუნდება, რომ საქმე კეთილსინდისიერ კლიენტთან აქვს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულმა დანაყოფებმა ევროპის დღესთან დაკავშირებით მიძღვნილ ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულმა დანაყოფებმა ევროპის დღესთან დაკავშირებით მიძღვნილ ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა. ცნობიერების ამაღლების მიზნით, შსს-ს დანაყოფებმა „ექსპო ჯორჯიაში“ ინფორმაციული და გასართობი აქტივობები გამართეს. ადგილზე მისულ მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა სიმულაციურ და შემეცნებით თამაშებში, გასცნობოდნენ დანაყოფების საქმიანობასა და სპეციალურ აღჭურვილობებს.

ევროპის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებიდან წარმოდგენილი იყო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი – 112 და სსიპ „მომსახურების სააგენტო“.

პოლიციამ განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი თ.ბ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 29 აპრილს, ბრალდებულმა თბილისში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ეჭვიანობის ნიადაგზე, ნათესავზე – 1986 წელს დაბადებულ მ.ბ.-ზე ფიზიკურად იძალადა.

თ.ბ.-მ ახალგაზრდა ქალს ხელკეტისა და ელექტროშოკის გამოყენებით, სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანებები მიაყენა, რის შედეგადაც იგი ადგილზე გარდაიცვალა. პოლიციამ, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულში ბრალდებული თ.ბ. ცხელ კვალზე დააკავა.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

2023 წლის პირველი მაისიდან, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სამართლებრივი მექანიზმი განახლებული ფორმით ამოქმედდა

2023 წლის პირველი მაისიდან, შემაკავებელი ორდერი და რისკების შეფასების ინსტრუმენტი განახლებული ფორმით ამოქმედდა. შემაკავებელი ორდერი და რისკების შეფასების ინსტრუმენტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის განმეორებითი ძალადობისგან დაცვის მნიშვნელოვან გარანტს წარმოადგენს.

ზემოხსენებული ცვლილების მიზანი ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლება და მოძალადეზე ზედამხედველობის კიდევ უფრო ქმედითი მექანიზმის შექმნაა.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 1 სექტემბრიდან, შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან ერთად, ძალადობის განმეორების პრევენციის მიზნით, ელექტრონული ზედამხედველობის მექანიზმიც მოქმედებს. ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების შემთხვევაში, მოძალადეს სხეულზე ელექტრონული სამაჯური უმაგრდება. აღნიშნულის შედეგად, მოძალადის მიერ მსხვერპლთან/მსხვერპლის სახლთან, მის სამსახურთან და სხვა ტერიტორიასთან მიახლოების რეალურ დროში კონტროლი ხდება.

ცვლილებების პროცესს წინ უძღოდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაცია – Global Rights For Women ექსპერტების მიერ, ძალადობის განმეორების რისკების შეფასების მექანიზმის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შეფასება, ასევე, სამუშაო შეხვედრები როგორც საპოლიციო დანაყოფების, ისე, არასამთავრობო სექტორისა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან.

მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე, ზემოხსენებულ დოკუმენტში შეტანილი ცვლილებებით, ძალადობის განმეორების რისკების შეფასების პროცესი მეტად ორიენტირებული იქნება მსხვერპლზე. განახლებული სტრუქტურირებული კითხვარი პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომელს, საშუალებას მისცემს, მიიღოს ეფექტიანი ზომები მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად. ასევე, განახლებული ინსტრუმენტით, შეიცვალა ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების სტანდარტი, რაც მეტ მსხვერპლს მისცემს საშუალებას, გამოიყენოს ძალადობის პრევენციის ეფექტიანი მექანიზმი.

ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებისთვის აუცილებელია მსხვერპლის თანხმობა. პოლიციის მიერ შედგენილი ოქმი ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.

ელექტრონული ზედამხედველობის მექანიზმის შესახებ, ცნობიერების ამაღლების მიზნით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მიერ, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, დამზადდა ვიდეორგოლი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ლიეტუვის რესპუბლიკაში ოფიციალური სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი, პოლიციის პოლკოვნიკი ვაჟა სირაძე, სასაზღვრო პოლიციის უფროსი, გენერალ-მაიორი ნიკოლოზ შარაძე და მისი პირველი მოადგილე, სასაზღვრო პოლიციის პოლკოვნიკი გოჩა ჯანჯღავა ლიეტუვის რესპუბლიკაში ოფიციალური სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ.

ვიზიტის ფარგლებში, ნიკოლოზ შარაძე და ვაჟა სირაძე ლიეტუვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურის ხელმძღვანელს, გენერალ რუსტამას ლიუბაიევასს შეხვდნენ. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ლიეტუვის რესპუბლიკის შსს-ს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურის წარმომადგენლები.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საზღვრის დაცვასა და სასაზღვრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები.

ლიეტუვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის სამსახურის უფროსმა რუსტამას ლიუბაიევასმა, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსმა ნიკოლოზ შარაძემ და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ვაჟა სირაძემ ხელი მოაწერეს საზღვრის დაცვის საკითხებში თანამშრომლობის 2023-2024 წლების გეგმას.

სტუმრები ლიეტუვის რესპუბლიკის საზღვრის დაცვის სამსახურის სხვადასხვა დანაყოფებს ეწვივნენ. ლიეტუვის სასაზღვრო უწყების წარმომადგენლებმა საქართველოს დელეგაციის წევრებს ეროვნული საკოორდინაციო ცენტრის, რეგიონული დანაყოფებისა და საზღვრის დაცვის სკოლის საქმიანობა გააცნეს და ქართველ კოლეგებს სასაზღვრო გამტარი პუნქტების ფუნქციონერების, არსებული აღჭურვილობისა და დანერგილი ტექნოლოგიების შესახებ გამოცდილება გაუზიარეს. ლიეტუველმა კოლეგებმა ქართულ მხარეს ასევე დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს სამგზავრო დოკუმენტებისა და რადიაციული ნივთიერებების შემოწმების წესების შესახებ.

ვიზიტის ფარგლებში, ქართულმა დელეგაციის წევრებმა აგრეთვე მოინახულეს ლიეტუვის საზღვრის დაცვის სამსახურის სასწავლო სკოლა, სადაც მესაზღვრეთა გადამზადების სასწავლო კურსის შესახებ ინფორმაციას გაეცნენ.

პირველი სეზონი, პირველი „სკუდეტო“ და... ხელები შორს, კვარაცხელიასგან!

2004 წელი, იტალიური „ნაპოლი“, გუნდი, რომელშიც დიეგო მარადონა თამაშობდა და 1990 წელს, ისტორიაში მეორედ მოიგო „სკუდეტო“, სერია C-ში დაქვეითდა. გაკოტრებისა და საერთოდ, დაკარგვის წინაშე იდგა კლუბი და ყველასთვის მოულოდნელად, ის პროდიუსერმა აურელიო დე ლაურენტისმა შეიძინა. **„მე ამ კლუბს ჩემპიონობამდე მივიყვან“,** – 2004 წელს, დე ლაურენტისის ეს სიტყვები ნამდვილ სიგიჟედ ჩანდა, მაგრამ აკი, ყველაზე გადარეული პრეზიდენტის სახელიც აქვს სინიორ აურელიოს. 2007 წელს, ექვსწლიანი პაუზის შემდეგ, „ნაპოლი“ სერია A-ში დაბრუნდა და გულშემატკივრებს იმედი ჩაესახათ, რომ დე ლაურენტისი პირობას მართლაც შეასრულებდა, თუმცა ნანატრი „სკუდეტო“ არსად ჩანდა...

მიმდინარე სეზონის სტარტზე, „ნაპოლის“ ოქროს მედლებისთვის მებრძოლთა სიაში არავინ წერდა. ფავორიტები – „იუვენტუსი“, „მილანი“, ინტერი“ და „რომა“ იყვნენ. ჰო, „რომა“, თავის ჟოზე მაურინიოთი და სეზონის წინ, ხმაურით გადაბირებული პაოლო დიბალათი. „ნაპოლიმ“ კი არც თუ ხმაურიანი ტრანსფერები განახორციელა და მათ შორის, 10 მილიონად „ვიღაც ქართველი“ იყიდა, რომელზეც ამბობდნენ, ძალიან ტექნიკურიაო. მართალია, ხვიჩა კვარაცხელიას უფრო რუსეთში თამაშით იცნობდნენ, მაგრამ იტალიაში ის ბათუმის „დინამოდან“ ანუ საქართველოს ჩამპიონატიდან წავიდა. ჩვენი პირველობა კი, რბილად რომ ვთქვათ, ევროპელებისთვის მიმზიდველი და საინტერესო არ არის.

და დაიწყო ზღაპარი, რომლის ერთ-ერთი მთავარი (თუ ყველაზე მთავარი არა) გმირი, სწორედ კვარაცხელია გახდა. „ნაპოლის“ რიგებში ყველა ტურნირზე უკვე ჩატარებულ 37 შეხვედრაში, კვარაცხელიამ 14 გოლი გაიტანა და ამდენივე საგოლე გადაცემა გააკეთა. რაც მთავარია, მან ისე ითამააშა, რომ გულშემატკივრებმა კვარადონა შეარქვეს და ნეაპოლში, მისი მაისური „სეტანტა სეტე“ ნომრით, ყველაზე გაყიდვადია. კვარაცხელიასთან ერთად, ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე, ყველაზე მოთხოვნადი მისი თანაგუნდელი, ვიქტორ ოსიმენიც იქნება. იმის შესახებაც საუბრობდნენ, რომ დე ლაურენტისი დუეტს 250 მილიონად შეელეოდა (150 მილიონი ოსიმენში, 100 – კვარაცხელიას სანაცვლოდ), თუმცა ახლა სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, რადგან კლუბის პრეზიდენტი ამბობს, რომ ორივე ლიდერი ხელშეუხებელია და ის მათ გასხვისებას არ აპირებს. ეს ოფიციალური განცხადებაა, მაგრამ იმასაც ვარაუდობენ, რომ გამოცდილი საქმოსანი დე ლაურენტისი, ამ ნაბიჯით, ფეხბურთელების ფასის აწევას ცდილობს. რაც მთავარია, მან გასაგებად თქვა, რომ არ აპირებს მოთამაშეებს ხელფასი მოუმატოს, რაც პირველ რიგში, ნიგერიელ ფორვარდს არ აწყობს – ის წლიურად 4 მილიონ ევროს იღებს მაშინ, როცა ნებისმიერი ინგლისური გრანდი 10 მილიონს მარტივად გადაუხდის. უფრო სასაცილოა კვარაცხელიას ჯამაგირი – 100 ათასი ევრო თვეში, როცა მასაც წლიურ 10 მილიონს ინგლისური კლუბები არ დაამადლიან.

ვნახოთ, რა იქნება, ზაფხულამდე არც ისე შორია, მანამდე კი ნეაპოლში სრული სიგიჟე ხდება და ქალაქის ყველა ქუჩასა თუ ჩიხში ზეიმია – ნეაპოლელები იტალიის საუკეთესო კლუბის სტატუსს, ყველაზე ცოტა, ერთი წლის განმავლობაში შეინარჩუნებენ.

სასწაული ქართულად – ხელბურთელები ევროპაზე ითამაშებენ

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები, ისტორიაში პირველად, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. კონტინენტის პირველობა, მომავალი წლის 10-28 იანვარს, გერმანიაში გაიმართება. შესაძლოა, არ დაიჯეროთ, მაგრამ ვინმეს რომ ეთქვა, საქართველოს ნაკრები ევროპაზე გავაო, დასცინებდნენ, რადგან საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშიც კი არ გვეკუთვნოდა – საკვალიფიკაციოზე გასასვლელი შეხვედრა ფინელებთან, საკუთარ მოედანზე – 22:22 ვითამაშეთ, სტუმრად კი 23:30 დავმარცხდით და ჩვენთვის ტურნირი დაწყებამდე დასრულდა, თუმცა...

უკრაინაში დაწყებული ომის გამო, ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ჩემპიონატიდან რუსეთი და ბელარუსი მოხსნა, მათ ნაცვლად კი, საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობის უფლება საქართველომ და ლუქსემბურგმა მიიღეს. ჯგუფიდან გასასვლელად პირველ ან მეორე ადგილზე გასვლა იყო საჭირო. იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფში მსოფლიო რეიტინგის მეშვიდე ნაკრები, უნგრეთი გვყავდა, ქართველებს მეორეობისთვის შვეიცარიასთან უნდა ებრძოლათ. სამწუხაროდ, შვეიცარიელებთან ორივე შეხვედრა წავაგეთ და ფინალურ ეტაპზე გასასვლელად, უნგრეთისთვის – უნგრეთში უნდა მოგვეგო, რაც წარმოუდგენლად ჩანდა. თავად განსაჯეთ, ამ შეხვედრაში უნგრელებს მოგების კოეფიციენტი საბუკმეიკერო კანტორებში 1.01 ანუ უმდაბლესი ჰქონდათ, საქართველოს მოგება კი 20.00-ით იყო შეფასებული ანუ 1000 ლარი რომ დაგედოთ უნგრეთის მოგებაზე, 10 ლარს მოიგებდით, საქართველოს მოგებაზე – 20 ათასს. შეხვედრა დაძაბული გამოდგა, ქართველებმა 31:30 იმარჯვეს და ქულებთან ერთად, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვეს.

P.S. 1992 წელს, ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატიდან იუგოსლავიის ნაკრები მოხსნეს და მათ ნაცვლად, დანიის ნაკრები დაუშვეს. დანიელი ფეხბურთელები შვებულებაში იყვნენ და სამწვრთნელო შტაბმა მათი შეკრება ძლივს მოახერხა. გუნდმა ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე ითამაშა, ფინალამდე მივიდა, იქ გერმანიის უძლიერესი გუნდი 2:0 დაამარცხა და ისტორიაში პირველად და უკანასკნელად, ევროპის ჩემპიონი გახდა.

ჩემპიონთა ლიგა აშშ-ში მიდის

მიმდინარე სეზონის ჩემპიონთა ლიგის ფინალი სტამბოლში გაიმართება, 2024 წლის ფინალს ლონდონი უმასპინძლებს, ხოლო 2025 წელს, მთავარი საკლუბო ტურნირის დასკვნითი შეხვედრა მიუნხენში გაიმართება. რა იქნება 2026 წელს?

„ბოლო დროს, ფეხბურთი ამერიკაში ძალიან პოპულარული გახდა. ამერიკელები მზად არიან, ხარისხიანი შეხვედრის ცოცხლად სანახავად დიდი თანხა გადაიხადონ. ამიტომ, სერიოზულად განვიხილავთ შესაძლებლობას, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალი ამერიკაში გაიმართოს. ეს ფეხბურთის პოპულარობასაც გაზრდის ამ ქვეყანაში და კლუბებიც კარგ შემოსავალს მიიღებენ“, – განაცხადა უეფას პრეზიდენტმა ალექსანდრ ჩეფერინმა და, პრაქტიკულად, დაადასტურა, რომ გაზრდილი ფასის გამო, საფხბურთო მატჩებზე ბილეთებს სულ უფრო ნაკლები ხალხი ყიდულობს. უმრავლესობა შინ, ან პაბსა თუ ბარში – დიდ ეკრანზე ამჯობინებს მატჩის ყურებას, ბილეთში გადასახდელი თანხით კი ლუდისა და მისაყოლებელის ყიდვა ურჩევნია.

მამარდაშვილი ტრანსფერზე – გიორგი 15 მილიონად იყიდება

ესპანური „ვალენსია“ უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. როგორც კლუბის ხელმძღვანელები ამბობდნენ, თუ „ღამურები“ პრიმერადივიზიონში ადგილის შენარჩუნებას მოახერხებდნენ, გუნდის ლიდერებს არ გაყიდდნენ, თუ არა და, რამდენიმე მათგანის გასხვისება მოუწევდათ. ზოგადად, „ვალენსია“ სერიოზულ ვალებშია და რიგ ფეხბურთელებთან განშორება ყველა ვარიანტში მოუწევდა, თუმცა...

ესპანური მედია წერს, რომ სეზონის ბოლოს, კლუბის მფლობელი პეტერ ლიმი თანამდებობის დატოვებასა და წასვლას აპირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ინვესტორის გარეშე დარჩენილი გუნდი, შესაძლოა, რამდენიმე ლიგით უფულობის გამო დააქვეითონ. ჰოდა, სწორედ ამიტომ, „ვალენსია“ მზად არის, რიგ მოთამაშეებს სიმბოლურ ფასად შეელიოს და როგორმე ფინანსური პრობლემები მოაგვაროს. საუბარი უპირველეს ყოვლისა, გიორგი მამარდაშვილზეა, რომლის შეძენა არაერთ კლუბს სურს, თუმცა პირენეული მედია ჯიუტად ამტკიცებს, მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია, ქართველი კიპერი ახალ სეზონს „ვილიარეალში“ დაიწყებს და მის სანაცვლოდ, „ვალენსია“ 15 მილიონ ევროს მიიღებსო, რაც აშკარად დაბალი ფასია. „ვილიარეალი“ ესპანეთის ჩემპიონატში მეხუთე ადგილზეა და მართალია, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსი აქვს, მაგრამ ამის გაკეთება გაუჭირდება. აი, ევროპა-ლიგის საგზურს კი აუცილებლად მოიპოვებს. გუნდის ნომერ პირველი მეკარე პეპე რეინაა, გამოცდილი ესპანელი კიპერი, რომელიც 31 წლის გახლავთ, თუმცა მეკარეებისთვის ეს ასაკი დიდად არ ითვლება. რაც შეეხება მეორე კიპერს, ის 21 წლის დანიელი, ფილიპ იორგენსენია და თუ მამარდაშვილი ამ გუნდში გადავა, ძირითადში მოხვედრისთვის კონკურენცია, სწორედ რეინასთან მოუწევს.

„ბარნლი“ მიქაუტაძეში 12 მილიონს იხდის

საფრანგეთის მეორე ლიგაში ისეთი მდგომარეობაა, ქართველი გულშემატკივარი გათამაშებას თვალს სუნთქვაშეკრული ადევნებს. უძლიერესთა შორის, ქვედა ლიგიდან ორი კლუბი გადადის და ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე, პირველ ადგილზე „ლე ჰავრია“ – 68 ქულით, მეორე ადგილზე „ბორდო“ – 62 ქულით და ამ კლუბის ღირსებას ზურიკო დავითაშვილი იცავს, მესამე ადგილზე – 59 ქულით, გიორგი მიქაუტაძის „მეცი“ გახლავთ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, უმაღლეს ლიგაში ან დავითაშვილის გუნდი გადავა, ან მიქაუტაძის. 33 ტურის შემდეგ, ჩემპიონატს 20 გოლით, სწორედ მიქაუტაძე ლიდერობს და რაღა თქმა უნდა, მის მიმართ ინტერესი დიდია. „ტრანსფერმარკეტზე“ გიორგის ფასი 6 მილიონი ევროა, თუმცა ინგლისური „ბარნლი“ მზადაა, მის სანაცვლოდ ორჯერ მეტი – 12 მილიონი გადაიხადოს.

ფრანგული მედია არ მალავს, რომ „ბარნლის“ მწვრთნელმა, ლეგენდარულმა ვეტერანმა ფეხბურთელმა ვინსან კომპანიმ მიქაუტაძეს პირადად დაურეკა და მის გუნდში გადასვლა სთხოვა. მართალია, „ბარნლი“ დღეს ინგლისის ჩემპიონატში თამაშობს, მაგრამ პირველი ადგილი უკვე გაინაღდა და ახალ სეზონს პრემიერლიგაში დაიწყებს. მიქაუტაძის პრემიერლიგაში გადასვლა არა მარტო თავად ფეხბურთელის კარიერისთვის, არამედ, საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვისაც ძალიან კარგი ამბავი იქნება და... საინტერესო ზაფხული გველის.

„ბარსელონაში“ მესის დაბრუნება ოთხ ფეხბურთელს არ სურს

გადაწყვეტილი ამბავია – ლიონელ მესი ახალ სეზონს ფრანგულ „პსჟ“-ში აღარ დაიწყებს. გარდა იმისა, რომ ერთი თვის წინ, ლეომ პარიზელებს კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი უთხრა, ახლა სიტუაცია რადიკალურად დაიძაბა. გასულ უქმეებზე, ჩემპიონატის მატჩის შემდეგ, მესი საუდის არაბეთში წავიდა. მას სასტუმროების ქსელთან სარეკლამო კონტრაქტი აქვს გაფორმებული და ვალდებულია, წელიწადში ორჯერ, აღნიშნულ სასტუმროში, ყველაზე ცოტა, ორი დღე გაატაროს. კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე, მესიმ ვიზიტი ორჯერ გადადო, ხოლო საფრანგეთის ჩემპიონატში გამართული ტურის შემდეგ იცოდა, რომ ორი დღე დასვენება ექნებოდა და კლუბს საუდის არაბეთში გამგზავრების შესახებ ამცნო.

უკვე თვითმფრინავში მყოფ მესის, კლუბის ხელმძღვანელობამ შეატყობინა, რომ ვარჯიში დაინიშნა და არგენტინელი ბაზაზე უნდა გამოცხადებულიყო, რაც გამორიცხული გახლდათ. საუდის არაბეთიდან დაბრუნებულ მესის კი ამცნეს, რომ ვარჯიშზე გამოუცხადებლობის გამო, ის კლუბის მომავალ ორ შეხვედრას გამოტოვებს და ფულად ჯარიმასაც გადაიხდის. რეალურად, ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ მესი კარიერის გაგრძელებას კვლავ „ბარსელონაში“ აპირებს, მაგრამ არც ეს არის მარტივი საკითხი. კატალონიური კლუბის ოთხი ლიდერი მის დაბრუნებას არ მიესალმება. პირველი მათგანი მეკარე ტერ შტეგენია, რომელსაც მესისთან მუდმივად კონფლიქტი ჰქონდა და ისინი ერთმანეთს არ ელაპარაკებიან; მეორე – რობერტ ლევანდოვსკი, გოლების პოლონელი მანქანა, რომელმაც გადასარევად იცის, რომ ლეოს მისვლის შემდეგ, კლუბის მთავარი ვარსკვლავის სტატუსს დაკარგავს და ეს მის სარეკლამო კონტრაქტებზე პირდაპირ აისახება, რაც წლიურად ორი-სამი მილიონის დაკარგვას ნიშნავს; მესამე – უსმან დემბელე, რომელიც მესის დაბრუნების შემთხვევაში, დემბელე ძირითად შემადგენლობაში ადგილს გარანტირებულად კარგავს და მეოთხე – ანსუ ფატი, მას ათნომრიანი მაისურის დათმობა მოუწევს, რისი გაკეთებაც ცოცხალი თავით არ უნდა.

გადის თუ არა საქართველოს ევროპული გზა ნიკა გვარამიას თავისუფლებაზე

მე-4 გვერდიდან

სხვათა შორის, ნიკა გვარამიას თავისუფლების მოძრაობაში ძველი კლუბის – „რა, სად, როდის“ წევრებიც არიან...

„ჩვენ გვჭირდება განათლებული და ზომიერად აგრესიული ახალგაზრდები!“ – დაახლოებით, ამ შინაარსის ლოზუნგით, მიხეილ სააკაშვილი „ვარდების რევილუციის“ შემდეგ გამოვიდა. იმხანად, სრულიად ახალგაზრდა გვარამია ახალი ყაიდის სახელმწიფო მოღვაწის (ქართულ „ვიკიპედიაში“ ნიკა გვარამიას შესახებ ინფორმაცია, სწორედ სახელმწიფო მოღვაწეების განყოფილებაში იძებნება) ამ ორივე კრიტერიუმს აბსოლუტურად აკმაყოფილებდა. შესაბამისად, არავის გაჰკვირვებია, რომ საკანონმდებლო ორგანოში ოთხწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, გვარამიამ ხელისუფლების სხვა შტოში გადაინაცვლა – კერძოდ, 2007 წელს, საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილედ დაინიშნა, სადაც ლამის ერთი წელი დაჰყო. 2008 წლის 24 იანვარს კი, იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე წარადგინეს. შვიდი დღის შემდეგ ანუ 31 იანვარს, ეს თანამდებობა ოფიციალურად დაიკავა. ცხრა თვის შემდეგ, მთავრობაში მორიგი კარუსელი დატრიალდა და 2008 წლის 27 ოქტომბერს, ნიკა გვარამია განათლებისა და მეცნიერების მინისტრად მოგვევლინა. მის ამ გარდასახვას დიდი ხმაური და აჟიოტაჟი მოჰყვა – ოპოზიციამ გააპროტესტა, როგორ შეიძლება, განათლებას სათავეში ის ადამიანი ჩაუდგეს, რომელსაც ძალოვან უწყებაში აქვს ნამუშევარი, ეს იმას ნიშნავს, რომ ნაციონალები სკოლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და მეცნიერების მართვას ძალოვანი მეთოდებით აპირებენო.

განათლების მინისტრად ნიკა გვარამიამ ზუსტად ერთი წელი იმუშავა და 2009 წლის 27 ოქტომბერს, თანამდებობა, როგორც მაშინ ითქვა, საკუთარი ნებით დატოვა. მოგეხსენებათ, ქართულ პოლიტიკაში გონივრული ეჭვი ერთობ ფესვგამდგარია. ჰოდა, გვარამიას ამ გადაწყვეტილებას ზოგმა საფუძვლად ის დაუდო, რომ მას ნაცელიტასთან, კერძოდ, სააკაშვილთან თითქოს ურთიერთობა დაეძაბა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ისიც მუშაობდა, რომ პოლიტიკაში, ჯერ კიდევ სტალინიდან მოყოლებული, აპრობირებული მეთოდია: არასასურველ ადამიანებს სასწავლებლად უშვებენ ხოლმე. ჰოდა, განათლების ექსმინისტრი გვარამიაც, განათლების მისაღებად ოკეანის გაღმა გაემგზავრა.

როგორ ცხოვრობდა, ან რა განათლებაი მიიღო აშშ-ში, ამის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია არ არსებობს. მეტიც, ლამის ხუთი წლის განმვალობაში, გვარამია მხოლოდ მაშინდელმა ოპოზიციამ კი არა, მმართველმა ელიტამაც დაივიწყა. 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ კი, ყოფილი ჩინოვნიკი არენაზე ისევ გამოჩნდა, ოღონდ სხვა ამპლუაში – სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორად მოგვევლინა და ამ პოსტზე გოგი გეგეშიძე ჩაანაცვლა.

ძნელი სათქმელია, რა ნიშნით შეარჩიეს ტელევიზიის დამფუძნებელებმა გვარამია დირექტორად, თუმცა თუკი ეჭვიანებს დავუჯერებთ, ამ გადაწყვეტილების მთავარი ქვაკუთხედი ის იყო, რომ გვარამია სააკაშვილის ახლო მეგობარია. ასევე, ცნობილია, რომ ძმები ყარამანაშვილები, რომლებიც „რუსთავი 2“-ის საკონტროლო პაკეტს ფლობდნენ, სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის წევრები იყვნენ.

სკანდალები

ნიკა გვარამიას თავზე შავი ღრუბლები პირველად 2012 წლის 19 დეკემბერს ანუ იმ დღეს შეიკრა, როცა პირველად, ფინანსთა სამინისტრომ ბრალი კორუფციაში დასდო...

2012 წლის 19 დეკემბერსვე, საღამოს, 18 საათსა და 43 წუთზე, ინტერნეტპორტალი – civil.ge „ნიუსს“ ავრცელებს, რომელშიც ვკითხულობთ:

„ენერგეტიკისა და ფინანსთა ყოფილი მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური და ნიკა გვარამია, რომელიც ამჟამად, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელია და 2009 წლის ბოლომდე მთავრობის წევრი იყო, ასევე, კიდევ სამი პირი, სავარაუდო კორუფციის ბრალდებით დააკავეს.

დაკავებულებს შორის, ასევე, არის კომპანია „თელასის“ გენერალური დირექტორი, დევი კანდელაკი...

ასევე, დაკავებულია აუდიტორული კომპანია „გუტიძე, დამენია, ჩანტლაძე სოლუშენის“ დამფუძნებელი და 2005–2008 წლებში, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე კახა დამენია.

ყველა მათგანი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში ხანგრძლივი დაკითხვის შემდეგ დააკავეს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა განაცხადა, რომ 2012 წლის ზაფხულში, მაშინდელმა ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა კორუფციული გარიგება დადო „თელასთან“, რის შედეგადაც, არსებითად არ მოხდებოდა საგადასახადო შემოწმების ჩატარება „თელასში“, ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფ „ხრამჰესი 1“, „ხრამჰესი 2“ და შპს „მტკვარი ენერგეტიკაში“, შესაბამისად, თავიდან იქნებოდა აცილებული ამ კომპანიების სახელით ათობით მილიონი ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრება, 1 მილიონი აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანახმად, მაშინდელ ენერგეტიკის მინისტრ ალექსანდრე ხეთაგურს, „ინტერ რაოს“ წარმომადგენელი ვადიმ მიტიუშინი დაუკავშირდა და დაიწყო მოლაპარაკება სახელმწიფოს მხრიდან საგადასახადო შეთანხმების გაფორმებაზე, რის შედეგადაც არსებითად არ მოხდებოდა საგადასახადო შემოწმების ჩატარება ზემოხსენებულ ორგანიზაციებში.

საქართველოს ხელისუფლების განცხადებით, დევი კანდელაკი, რომელიც იმ დროს „ხრამჰესი 1“, „ხრამჰესი 2“ და „მტკვარი ენერგეტიკის“ დირექტორი იყო, ასევე, ჩართული იყო ამ „დანაშაულებრივ მოლაპარაკებებში“, რომელმაც ზემოხსენებული მიზნისთვის, ალექსანდრე ხეთაგურს შესთავაზა, რომ „ქრთამის სახით, 1 მილიონი აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, სახელმწიფოს მიეცა თანხმობა საგადასახადო შეთანხმებაზე დიალოგის დასაწყებად და შესაბამისად, არ მოხდარიყო ათობით მილიონი ლარის დარიცხვა“.

„ხეთაგური დაეთანხმა ამ წინადადებას“, – ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ოფიციალურ განცხადებაში.

ამავე განცხადების თანახმად, ხეთაგურმა სთხოვა თავის ახლობელ ნიკა გვარამიას, რომელიც 2007-ში მთავარი პროკურორის მოადგილე, 2008 წელს – იუსტიციის მინისტრი და 2009 წლის ბოლომდე – განათლების მინისტრი იყო, კანდელაკთან მოლაპარაკებებში ჩართულიყო და 1 მილიონი აშშ დოლარის მისაღებად კონკრეტული გეგმა შეემუშავებინა.

„ამის შემდეგ, გვარამია დაუკავშირდა თავის მეგობარ გიორგი ნემსიწვერიძეს და შეუთანხმდა, ფიქტიურად, ცრუ მეწარმეობის მიზნით შეექმნა შპს „ელენდეფ სერვისი“, რომლის ფუნქციაც, ვითომდა, საკონსულტაციო საქმიანობით განისაზღვრებოდა და რისი გამოცდილება, ან თუნდაც მცირე კვალიფიკაციაც კი ამ უკანასკნელს არ გააჩნდა, რაც ნ. გვარამიამ თავიდანვე იცოდა. შპს „ელენდეფ სერვისი“ ნ. გვარამიას გადაცემული თანხით, 2012 წლის 26 ივლისს, 15:56 სთ. დარეგისტრირდა გ. ნემსიწვერიძის სახელზე. ამის შემდეგ, აღნიშნული საკონსულტაციო კომპანიის ანგარიშზე, თითქოს, როგორც ამ სამუშაოების შესრულების ერთადერთ წყაროსთან, რაც თავიდანვე სიცრუე იყო, „ინტერ რაო ესის“ კუთვნილი ენერგოკომპანიებიდან სს „ხრამჰესს 1“, „ხრამჰესი 2“, ასევე „მტკვარი ენერგეტიკიდან“ და „თელასიდან“ თანხები გადაირიცხა“, – ნათქვამია განცხადებაში.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, 2012 წლის 30 აგვისტოს, ნემსიწვერიძემ „ელენდეფ სერვისის“ საბანკო ანგარიშებზე აკუმულირებული თანხები საფულე ჩეკის მეშვეობით გამოიტანა და გადასცა ნიკა გვარამიას. ნემსიწვერიძე, ასევე, დაკავებულია.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, სქემის ბოლო ეტაპზე, გვარამიამ სთხოვა თავის მეგობარ კახა დამენიას, ასევე, ჩართულიყო „დანაშაულებრივ სქემაში“ და შპს „ელენდეფ სერვისთან“ დაედო ფიქტიური ქვეკონტრაქტის ხელშეკრულებები სს „ხრამჰესი 1“, სს „ხრამჰესი 2“, შპს „მტკვარი ენერგეტიკასა“ და სს „თელასში“ საკონსულტაციო და სხვა სახის სამუშაოების ჩატარებაზე“.

„ოროსნებმა დაიჭირეს ხეთაგური და გვარამია“, – ასე გამოეხმაურა ნიკა გვარამიას დაკავებას მიხეილ სააკაშვილი, რომელიც იმხანად, ჯერ კიდევ საქართველოს პრეზიდენტი გახლდათ.

მაშინ ნიკა გვარამიამ გისოსებს მიღმა დიდი დრო არ გაატარა, მაგრამ ზემოხსენებული საქმის ძიება, ლამის ერთი წელი გაგრძელდა. საბოლოოდ, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ გვარამია და მასთან ერთად სხვა დაკავებულებიც, სასამართლომ გაამართლა.

„ყველა გავმართლდით, ყველა ბრალდებაში“, – დაწერა ნიკა გვარამიამ 2013 წლის 14 ნოემბერს, სოციალურ ქსელში, თუმცა მისი და სამართალდამცავების ურთერთობა ამით არ დამთავრებულა და საბოლოოდ, ისე მოხდა, რომ გვარამია გასულ წელს, ციხეში აღმოჩნდა.

ბრალდებებზე, რომელთა გამოც ნიკა გვარამია დააპატიმრეს, პროკურატურა სსკ-ის 182-ე მუხლით (მითვისება ან გაფლანგვა) დაობდა. საუბარია ე.წ. 2015 წლის ეპიზოდზე და ე.წ. ავტომანქანის ეპიზოდზე.

პირველი, ე.წ. 2015 წლის ეპიზოდი ეხება პროკურატურის ბრალდებას, რომლის თანახმადაც გვარამიამ, კომპანიის ფინანსური დირექტორთან ერთად, 6 763 509 ლარი გაფლანგა.

მეორე, ე.წ. ავტომანქანის ეპიზოდში, პროკურატურა დაობდა შემდეგს:

უწყების მტკიცებით, 2019 წლის თებერვალში, გვარამიამ „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსის“ („პორშეს“ ცენტრი) ხელმძღვანელებს შესთავაზა, რომ მათგან ძვირადღირებულ ავტომობილს შეიძენდა, „რუსთავი 2“-ის ეთერში მათი სარეკლამო რგოლების განთავსების სანაცვლოდ.

პროკურატურის თანახმად, ხელშეკრულება 2019 წლის თებერვალში, „პორშეს“ ცენტრსა და შპს „პროესკო მედიას“ შორის გაფორმდა, თუმცა „პროესკო მედია“ მხოლოდ ფორმალურად იყო 76 ათასი ევროს (232 201 ლარი) ღირებულების ავტომობილის მესაკუთრე, რეალურად, ის გვარამიასა და მისი ოჯახის ფაქტობრივ საკუთრებაში გადავიდა.

გამოძიების მიხედვით, „პორშეს“ ცენტრი სრულად უხდიდა „პროესკო მედიას“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სარეკლამო ღირებულებას, თუმცა „ეს უკანასკნელი, ნიკა გვარამიას დავალებით, არსებითად ამცირებდა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისთვის გადასახდელ თანხებს, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი ადგებოდა ტელეკომპანიას“.

„2019 წლის აპრილიდან ივლისამდე პერიოდში, ტელეკომპანიამ განიცადა დიდი ოდენობით ფინანსური ზიანი, სანაცვლოდ კი ნიკა გვარამიამ და მისმა ოჯახმა, ფაქტობრივ საკუთრებაში მიიღეს 232 201 ლარის ღირებულების ავტომობილი – Porche Macan S“, – თქვა პროკურატურამ.

აღნიშნული ბრალდებები, მოსამართლის გადაწყვეტილებით, სსკ-ის 220-ე მუხლით გადაკვალიფიცირდა. ეს მუხლი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს. შედეგად, ე.წ. 2015 წლის ეპიზოდზე, როგორც გვარამია, ისე დამენია, 50 000-50 000 ლარით დააჯარიმეს. მეორე ეპიზოდზე კი ნიკა გვარამიას 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

უფრო მკაცრმა სასჯელმა (პატიმრობა) ნაკლებად მკაცრი სასჯელი (ჯარიმა) შთანთქა და საბოლოოდ, გვარამიას ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით.

ზოგადად, ნიკა გვარამიაზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება, თუმცა „ვერსია“ ამჯერად, წერტილს აქ დასვამს და მოვლენების განვითარებას დაელოდება ანუ დრო გვიჩვენებს, საქართველოს ევროპული გზა, მართლაც, გვარამიაზე გადის თუ არა...

პერანგზე წარწერისთვის სკოლიდან გააგდეს

აშში, მასაჩუსეტსის ერთ-ერთი სკოლის მეშვიდეკლასელი, ლიამ მორისონი სკოლიდან სახლში იმის გამო გაუშვეს, რომ მაისური ეცვა წარწერით: „არის მხოლოდ ორი სქესი“. ერთ-ერთ გამოცემასთან ინტერვიუში ბიჭმა განაცხადა, რომ სკოლის კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა და ახსნა, რატომ არის წარწერა მის მაისურზე ნორმალური.

„მე არ ვჩივი, როდესაც ლგბტ-დროშებსა და პლაკატებს ვხედავ, ამით მთელი სკოლაა მოფენილი. ეს მათი გამოხატვის უფლებაა. ჩემი წარწერით ზიანს არავის ვაყენებ, ხოლო თუ ვინმეს გრძნობები ილახება, მათი გრძნობები ჩემს უფლებებზე მნიშვნელოვანი რატომ არის? მით უმეტეს, ჩემი მაისურის გამო პროტესტი არც ერთ მოსწავლეს ან მასწავლებელს გამოუთქვამს“, – აცხადებს ლიამი. მოგვიანებით, მის მხარდასაჭერად, სკოლასთან მშვიდობიანი აქციაც გაიმართა.

ფეხი უკუღმა მიაკერეს

ბრიტანელმა მედიკოსებმა ქალაქ ბირმინჰემიდან, პაციენტს ფეხი მოკვეთეს, შემდეგ კი ამპუტირებული კიდური უკუღმა მიაკერეს, რითაც ახალგაზრდას სიცოცხლე შეუნარჩუნეს. 14 წლის იბრაჰიმ აბდურაუფმა ტრავმა ფეხბურთის თამაშისას მიიღო. მეორე დღეს ის აუტანელი ტკივილებით კლინიკაში გადაიყვანეს. მოგვიანებით, მოზარდს ძვლის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. სპეციალისტებმა იშვიათი ოპერაცია – როტაციური პლასტიკა ჩაატარეს, რომლის დროსაც ფეხის შუა ნაწილი მოიკვეთება, ქვედა კი უკუღმა მიეკერება. პაციენტი დათანხმდა ქირურგიულ ჩარევას, რადგან მის გარეშე, სიმსივნე უფრო შორს წავიდოდა. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, რეაბილიტაციის პერიოდი კი სამ წელიწადს გაგრძელდა. ახლა იბრაჰიმი 22 წლისაა და ექიმებისა და უჩვეულო მეთოდის წყალობით, მას კვლავ შეუძლია სიარული.

კორპუსი მხოლოდ ქალებისთვის

ნისლიან ალბიონზე, ლონდონში, მაღალსართულიან სახლს ააშენებენ, სადაც მხოლოდ სუსტი სქესის წარმომადგენლები იცხოვრებენ. 15-სართულიან სახლში 102 ბინა იქნება და მხოლოდ იმ ქალებს შეასახლებენ, რომლებიც დისკრიმინაციას, ოჯახში ძალადობასა და მატერიალურ პრობლემებს ებრძვიან. ოთახები ისე დაპროექტდება, რომ იქ, ნებისმიერი ასაკისა და მოთხოვნილების ქალბატონი თავს კომფორტულად იგრძნობს. მაგალითად, სამზარეულოში სამუშაო ზედაპირები უფრო დაბალ სიმაღლეზე იქნება, ასევე გათვალისწინებულია მძლავრი ვენტილაცია მენოპაუზის პერიოდში მყოფი ქალებისთვის. საცხოვრებელი ბინები დაბალ ფასად გაქირავდება. კორპუსში მამაკაცები იმ შემთხვევაში დაიშვებიან, თუ ისინი მობინადრე ქალების პარტნიორები იქნებიან. ამ საპილოტე პროექტმა დედაქალაქში ძალიან ძვირი საცხოვრებლის პრობლემა უნდა მოაგვაროს – შრომის ანაზრაურებაში გენდერული განსხვავების გამო, ხშირად, მარტოხელა ქალები ვერ ახერხებენ ცალკე ბინის დაქირავებას.

პრინტერზე დაბეჭდილ მეჩეთს ააშენებენ

მსოფლიოში პირველი, სამგანზომილებიან პრინტერზე დაბეჭდილი მეჩეთი დუბაიში აშენდება. „სი-ენ-ენ“-ის ცნობით, ნაგებობა 600 ადამიანზე იქნება გათვლილი. ორსართულიანი შენობის საერთო ფართი კი 2 ათასი კვადრატული მეტრი იქნება. მეჩეთის მშენებლობის დაწყება უკვე ამ წლის ბოლოს იგეგება და პროექტის მიხედვით, 2025 წელს დასრულდება. სამგანზომილებიანი ბეჭდვის დახმარებით, მშენებლობისთვის კონსტრუქციები დაიბეჭდება და მერე ფენებად აიწყობა.

დონ კორლეონეს სასახლეს აუქციონზე გაყიდიან

დონ კორლეონეს სასახლე, რომელიც საკულტო ფილმ „ნათლიას“ მესამე ნაწილში გამოჩნდა, აუქციონზე გაიყიდება. ობიექტი, რომელიც XIX საუკუნეშია აშენებული, 6.6 მილიონ დოლარადაა შეფასებული. სასახლე კუნძულ სიცილიაზე, ქალაქ აჩირეალეში მდებარეობს. მის გარშემო ტერიტორია 0.4 ჰექტარია. სახლში 22 საძინებელი და ღვინის სარდაფია. თავდაპირველად, შენობა ადგილობრივმა ბარონმა აგოსტინომ, ხელოვნების ნიმუშების საკუთარი კოლექციისთვის, მუზეუმის რანგში ააშენა. მისი ოჯახის ხუთმა თაობამ იცხოვრა ამ სასახლეში. Sotheby's-ის მონაცემებით, მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანელები შენობას მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზად იყენებდნენ. ომის შემდეგ, სასახლეში ბარონის ოჯახი დაბრუნდა, სადაც შემოდგომით, რთველის დროს ცხოვრობდა. 70-იანი წლებიდან, ტერიტორიას კერძო წვეულებების, ცერემონიებისთვის აქირავებდნენ. ახლა, მსურველებს შეუძლიათ, სასახლის პატრონები გახდნენ და თავი ლეგენდარულ დონ კორლეონედ იგრძნონ, თუ სულ ცოტა, 6.6 მილიონ დოლარს გადაიხდიან.

სახლებს ხეებზე აშენებენ

ეს არ ჰგავს ჩვეულებრივ მშენებლობას, თუმცა სწორედ ასე გამოიყურება ახალი საცხოვრებელი კვარტალი ავსტრალიის ქალაქ პერტში. 800 კვადრატული მეტრის ფართობზე ოთხი სახლია, ბეღელი და რაც მთავარია, 40 ხე დგას. ტყე ქალაქში ძალიან მნიშვნელოვანია. „არ გვჯერა, რომ მხოლოდ მისი გაჩეხვაა ერთადერთი გამოსავალი რაღაცის ასაშენებლად“, – ამბობს ადგილობრივი მცხოვრები. სახლებს ხეებს შორის და თავად ხეებზეც აშენებენ. როგორც სამშენებლო კომპანიის წარმომადგენელი ამბობს, შესაძლოა, მომავალში ეს სავალდებულოც კი გახდეს ყველა მშენებლისთვის. ახალი კანონის მიხედვით, რომელიც „მწვანე კონტინენტზე“ სექტემბრიდან უნდა ამოქმედდეს, საცხოვრებელი კომპლექსის ტერიტორიის 15% მწვანე ზონას უნდა წარმოადგენდეს.

თვალიდან დავიწყებული ლინზები ამოუღეს

67 წლის ბრიტანელი პენსიონერი ქალბატონი, კატარაქტისგან გამოწვეული ჩივილით ოფთალმოლოგთან მივიდა. პაციენტის გასინჯვისას, სპეციალისტმა თვალის კაკალზე სქელი ფენა ნახა. აღმოჩნდა, რომ ხანშიშესულ ქალბატონს თვალში 27 კონტაქტური ლინზა ჰქონდა დარჩენილი. პირველ ჯერზე, ექიმმა 17 ლინზა მოხსნა, დანარჩენი 10 – შემდეგ ვიზიტზე. აღსანიშნავია, რომ პენსიონერს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა იყო მისი თვალის წვის და უსიამოვნო შეგრძნების მიზეზი, თუმცა ამას ასაკს მიაწერდა. 35 წლის განმავლობაში, ყოველდღიურად, ის ერთჯერად ლინზებს ხმარობდა, მაგრამ როგორც გაირკვა, ზოგჯერ ძველი ლინზის ამოღება ავიწყდებოდა.

ყავა კანს აახალგაზრდავებს

ბოლოდროინდელმა გამოკვლევების მიხედვით, ყოველდღიურად, ორი ფინჯანი ყავა კანის დაბერების პროცესს აფერხებს, რაც სასმელში არსებული ანტიოქსიდანტების წყალობითაა შესაძლებელი. ეს აღმოჩენა სკრენტონის უნივერსიტეტის სწავლულებს ეკუთვნის. მკვლევარები უარყოფდნენ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც მზე და სუფთა ჰაერი ადამიანის ორგანიზმის ზოგიერთი სახის უჯრედის დაბერებას იწვევს. საქმე ის არის, რომ ჟანგბადი უჯრედის დაშლას პროვოცირებს, ქარს კი შეუძლია კანის დაჭკნობის პროცესი დააჩქაროს. თავის მხრივ, ანტიოქსიდანტები, რომლებსაც ყავა შეიცავს, ჟანგბადის საშიში ფორმების ანუ თავისუფალი რადიკალების ნეიტრალიზებას ახდენენ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვლევებმა „ღვთაებრივი სასმელის“ სხვა პოზიტიური თვისებებიც გამოავლინა. კერძოდ, ყავა თავის ტვინის მუშაობას აუმჯობესებს, რადგან იმ ნაწილზე ზემოქმედებს, რომელიც ყურადღებასა და მეხსიერებაზეა პასუხისმგებელი. მეცნიერების თქმით, ყავას შეუძლია, ადამიანს სიბერეში თავიდან ააცილოს მეხსიერების დაკარგვა და დაბნეულობა, შეამციროს დიაბეტის რისკი, ასევე ღვიძლის ციროზის განვითარების ალბათობა.

შიდსს გენების რედაქტირებით განკურნავენ

ამერიკელმა მკვლევარებმა აივ-ინფექციის განკურნება გენების რედაქტირებით მოახერხეს. მღრღნელებზე ჩატარებული ცდები წარმატებით დასრულდა, ახლა ანალოგიური კვლევების ჩატარებას პრიმატებზე აპირებენ. სწავლულებს ამ მხრივ ბიძგი რამდენიმე შემთხვევამ მისცა, როცა შიდსი სრულად გაქრა ლეიკემიის დროს, ძვლის ტვინის გადანერგვისას. დონორული უჯრედები გარკვეულ მუტაციებს შეიცავდნენ. ბიოლოგებმა შეიმუშავეს გენური ტექნოლოგია, რომელიც ერთდროულად წმენდს დასნებოვნებულ უჯრედებს აივ-ის კვალისგან და ცვლის ჯანმრთელი იმუნური უჯრედების დნმ-ს, რათა ისინი მდგრადები იყვნენ ვირუსის წინააღმდეგ. დაინფიცირებულ თაგვებზე ექსპერიმენტისას, ორგანიმზში სრულად შეწყდა ვირუსის გამრავლება, ასევე T-უჯრედების რაოდენობა დასტაბილურდა, რომლებიც ჩვეულებრივ, ანადგურებენ აივ-ს.

საძილე აბები სიგარეტივით მავნებელია

ამერიკელი სწავლულები, არიზონას უნივერსიტეტიდან, ამტკიცებენ, რომ საძილე აბები არანაკლებ საზიანოა ადამიანისთვის, ვიდრე თამბაქო. მათი თქმით, ასეთი პრეპარატების მიღება დღეში ერთი კოლოფი სიგარეტის მოწევას შეიძლება გავუთანაბროთ. რაც უფრო ხშირად იღებს ადამიანი ასეთ წამლებს, მით უფრო მეტის მიღება სჭირდება დასაძინებლად. მკვლევარები ამ პრეპარატების ჩანაცვლებას ხანმოკლე, ინტენსიური ფიზიკური დატვირთვით გვთავაზობენ. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ეს დატვირთვები სასურველ დაღლილობასა და ძილიანობას გამოიწვევს. რაც შეეხება საძილე აბებს, კვლევებმა აჩვენა, რომ ისინი ცნობიერების ამღვრევას, შენელებულ რეაქციებს და ბალანსის დარღვევას იწვევენ. აბები მხოლოდ დასვენების ილუზიას ქმნიან, სინადვილეში, მათი მიღების შემდეგ, ძალები არ აღდგება. ნერვულ სისტემას ისეთი ზიანი ადგება, როგორც მოწევისას და ამასთან, სიმსივნის წარმოქმნის რისკებიც იზრდება.

თევზის ქონი მავნე საკვებს „აკეთილშობილებს“

მედიკოსების განცხადებით, თევზის ქონს უნიკალური თვისება აქვს – მას შეუძლია, ტვინი საშიში ტოქსინების ზეგავლენისგან დაიცვას. ის არ მოქმედებს თავად ნეიროგენეზზე (ტვინის ახალი უჯრედების წარმოშობა და ინტეგრაცია), თუმცა დაცვის ეფექტს ახდენს. სწავლულების თქმით, თევზის ქონი ასტიმულირებს ტვინის ზონას, რომელიც მეხსიერებაზე, საკვების მიღებასა და სწავლაზეა პასუხისმგებელი. 185 სამეცნიერი ნაშრომის გაანალიზებისას, რომელიც ადამიანის ორგანიზმზე თევზის ქონის გავლენას ეხებოდა, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ის ააქტიურებს მეტაბოლიზმს და არსებითად, ნებისმიერ საკვებს დაბალკალორიულად აქცევს. ამასთან, ცნობილია, რომ მავნე, მაღალკალორიული პროდუქტები უარყოფითად მოქმედებს ნეიროგენეზზე. თევზის ქონი კი ამ ნეგატიური ეფექტის ნიველირებას ახდენს. ამ გზით ტვინი დაცულია მავნე საკვებისგან. სწავლულები გვირჩევენ, თევზის ქონი ყოველდღიურ რაციონში ჩავრთოთ.

გაყინული ლუდის სასტუმრო გაიხსნა

ლონდონის ერთ-ერთმა „პაბმა“ სასტუმრო გახსნა, რომელის კედლებიც გაყინული ლუდისგანაა დამზადებული. კლიენტებს ქარვისფერ სასმელს ბოთლებით სთავაზობენ, ან ყინულის კედლის ალოკვის ნებას აძლევენ. ამ დაწესებულების შესაქმენლად ათას ლიტრზე მეტი გაყინული ლუდი დასჭირდათ. ლუდის სასტუმროში დროის კომფორტულად გასატარებლად სტუმრებს ქუდებს, შარფებს, ხელთათმანებსა და საძილე ტომრებს აძლევენ. უჩვეულო ოტელის მესვეურნი ამბობენ, რომ უპირველეს ყოვლისა, სასტუმრო იმ კლიენტებზეა გათვლილი, რომლებიც გვიანობამდე შემორჩნენ და ტაქსის გამოძახების თავიც არ აქვთ. მათ თავისუფლად შეუძლიათ, ღამე ლუდის სასტუმროში გაათიონ.

ტოკიოში ბამბის ბარი გახსნეს

იაპონიის დედაქალაქის ცენტრში ბარი გაიხსნა, რომელშიც მსურველს შეუძლია, თავი მრთველის როლში მოსინჯოს და ბამბის ქულისგან ძაფი დაამზადოს. დაწესებულებაში – Tokyo Cotton Village ყველა კლიენტს უფასოდ ეძლევა ბამბა და სართავიც. მას შეუძლია, იჯდეს კაფეში და რამდენიც უნდა, სცადოს ძაფის დართვა, თან კოქტეილი ან ყავა მიირთვას. ოფისების უამრავი თანამშრომელი, კვირაში რამდენჯერმე შედის ამ დაწესებულებაში, რათა სამუშაოსგან დაისვენოს და ამ მედიტაციურ საქმიანობაში ჩაეფლოს. ბარის მფლობელმა რამდენიმე წლის წინ ფერმა იყიდა, სადაც ბამბა მოჰყავდათ, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ იაფ იმპორტს ვერ გაუმკლავდებოდა და საკუთარ პროდუქციას ვერ გაყიდდა. ამიტომ, მოიფიქრა, რომ ბამბა საკუთარ ბარში კლიენტების მისაზიდად გამოეყენებინა. ეს გათვლა სწორი აღმოჩნდა და მისი მოლოდინიც გამართლდა – დაწესებულებას კლიენტები არასდროს აკლია.

ხელოვნური კანი შექმნეს

ამერიკელმა სწავლულებმა ჰარვარდის სამედიცინო და მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტებიდან, ელასტიკური ფენა შექმნეს, რომელიც დატანისას, არა მხოლოდ ამცირებს ნაოჭებს და ჩაშავებულ თვალის უპეებს, არამედ, აუმჯობესებს კიდეც ეპიტელის მდგომარეობას, მისი მუდმივი დატენიანების გამო. კანზე დატანილი მასა შრება და ახალგაზრდა ადამიანის კანივით გამოიყურება. ეს სინთეტური მასალა ბიოლოგიური კანის იმიტირებას ახდენს და ჰაერგამტარ დამცავ ფენას წარმოადგენს. პოლისილოქსანური პოლიმერის ფენა ლაბორატორიაში, სილიკონისა და ჟანგბადისგან მიიღეს. ამჟამად პროდუქტის ავტორები განიხილავენ მისი კომერციული გამოყენების შესაძლებლობასაც. ის შეიძლება მზის სხივებისგან დამცავ ფენად ანდა გარკვეული სახის წამლების დოზირებისთვისაც გამოიყენონ. სწავლულთა თქმით, ხელოვნური კანი თითქმის უხილავია, ის შეიძლება ადამიანმა მთელი დღის განმავლობაში ატაროს, მეტიც, ის არ რეაგირებს ოფლისა და წვიმის წვეთებზე. თუმცა, გამოგონების ავტორები აღნიშნავენ, რომ „კანის“ კომერციული წარმოებისთვის დამატებითი კვლევებია საჭირო და პოლიმერი ქვეყნის მარეგულირებელმა ორგანოებმაც უნდა მოიწონონ.

მარწყვი – ატმის გემოთი

იაპონელი სპეციალისტები დაუღალვად მუშაობენ იმაზე, რომ საკუთარი ნახელავით მსოფლიო კიდევ ერთხელ გააოცონ. ამჯერად, ამომავალი მზის ქვეყანაში ახალი მარწყვი გამოიყვანეს, რომელსაც ატმის გემო აქვს. გარეგნულად ეს ხილი უფრო ღია ფერისაა, ვიდრე ჩვეულებრივი მარწყვი, შიგნით კი თეთრია. როგორ მიიღწევა უცხო გემოს ეფექტი, უცნობია, მისი ღირებულება კი შთამბეჭდავია – ერთი ცალი ასეთი მარწყვის ფასი 11 დოლარია. იაპონური ბაზრის კიდევ ერთი სიახლე კვერცხია, რომელსაც იაპონური ლიმნის, იუძუს არომატი აქვს. აქ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არავითარ ქიმიას ადგილი არ აქვს. საიდუმლო ქათმების რაციონშია, რომელშიც ეს ლიმონიც შედის. 10 ცალი ასეთი კვერცხი 4 დოლარზე ცოტა მეტი ღირს.

მობეზრებულ ტატუს საცხი მოგაშორებთ

წარუმატებელი, ან უბრალოდ, მობეზრებული ტატუს მოშორება შესაძლებელი იქნება საცხის საშუალებით. კანდელი სწავლულები გვპირდებიან, რომ ეს პროცესი უმტკივნეულო და არც ისე ძვირი იქნება. საცხმა უნდა იმოქმედოს კანქვეშ არსებულ ცხიმოვან უჯრედისზე, სადაც თავმოყრილია მაკროფაგები – ისინი შთანთქავენ ტატუს გაკეთებისას მღებავ პიგმენტებს. საცხი ააქტიურებს ახალ მაკროფაგებს, რომლებიც იწყებენ ძველების შთანთქმას, შემდეგ კი ლიმფურ კვანძებში გადაადგილდებიან და თან მიაქვთ საღებავი. ლაზერისგან განსხვავებით, მაკროფაგები მიზნობრივად უტევენ მხოლოდ იმ უჯრედებს, რომელიც საღებავ ნივთიერებებს შეიცავენ. მკვლევარები ირწმუნებიან, რომ მცირე ზომის ტატუს მოსაშორებლად საჭირო საცხის ღირებულება, დაახლოებით, 4 დოლარი იქნება. თუმცა, კანადელი სწავლულების განცხადებით, პროდუქტმა ჯერ კიდევ უნდა გაიაროს გამოცდა.

ყველაზე სასარგებლო ბოსტნეული სტაფილოა

სწავლულებმა სტაფილოს სუპერპროდუქტი უწოდეს. აღმოჩნდა, რომ ის წარმოუდგენლად დიდი რაოდენობით შეიცავს ვიტამინებს, მაკრო და მიკროელემენტებს. პლანეტის წამყვანი უნივრსიტეტების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ეს უკვე დაამტკიცა. სწავლულები მიიჩნევენ, რომ მომავალში, შესაძლოა, ეს პროდუქტი უამრავი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენონ. ნივთიერებები, რომლებსაც სტაფილო შეიცავს, ადამიანის ორგანიზმზე სასიკეთო გავლენას ახდენენ. მის სტაფილოსფერ პიგმენტ კაროტინოიდში აღმოაჩინეს განსაკუთრებული გენები, რომლებიც ორგანიზმს სხვადასხვა ვირუსებისა და ბაქტერიებისადმი მდგრადს ხდიან. გარდა ამისა, მკვლევარები აცხადებენ, რომ პროდუქტის ხშირი მოხმარებისას, მკერდის კიბოს ზოგირთი სახეობის განვითარების რისკი 60%-ით მცირდება, რაც ბეტა-კაროტინის დამსახურებაა. თუმცა, სწავლულები იმასაც აღნიშნავენ, რომ სტაფილოს დიდი რაოდენობით, თანაც ხშირად მირთმევა კარგი არაა, რადგან ბევრი ბეტა-კაროტინი ნეგატიურ გავლენას ახდენს ორგანიზმზე.

ზედმეტ კილოგრამებს ბაქტერიები მოგაშორებთ

სწავლულები კვლავ აგრძელებენ პრებიოტიკის ძებნას, რომელიც ზედმეტი კილოგრამების ლიკვიდაციას შეძლებს. მკვლევარები დარწმუნებულნი არიან, რომ ჭარბი წონის მოშორებაში ადამიანს ის ბაქტერიები დაეხმარებიან, რომლებიც ისედაც არსებობენ ორგანიზმში. ვანდეტრბილდტის უნვერსიტეტის სპეციალისტები კუჭში მდებარე ბაქტერიების რაოდენობის რეგულირებას გვთავაზობენ. კვლევა ლაბორატორიულ თაგვებზე მიმდინარეობდა. აღმოჩნდა, რომ ცხოველების ორგანიზმში სპეციალური ბაქტერიები ცხოვრობენ, რომლებიც აფერხებენ წონის მატებას, ამცირებენ ინსულინორეზისტენტულობას და სხვა არასასიამოვნო ეფექტებს, რაც ორგანიზმში ცხიმის დაგროვებას იწვევს. ახლა სწავლულებმა უნდა გადაწყვიტონ ნორმატიული საკითხები იმისთვის, რომ ზედმეტი წონის მოცილების მკურნალობის ახალი მეთოდიკა ადამიანებზე გამოსცადონ. საამისოდ სპეციალური საშუალებებზე მუშაობენ, რომლებიც პრებიოტიკურ ბაქტერიებს ჩაანაცვლებენ და რომელთა რაოდენობით მანიპულაციაც, კუჭში ზედმეტი კილოგრამების ლიკვიდაციას შეუწყობს ხელს.

სენდვიჩები – ცისარტყელა ყველით

ჰონგ-კონგში მდებარე რესტორანი Kala Toast საკუთარ კლიენტებს გრილზე დამზადებულ სენდვიჩებს სთავაზობს, რომელშიც ყველია ცისარტყელას ფერებში. ამ სენდვიჩების დაგემოვნება მსურველს 5 დოლარად შეუძლია. მათი კაშკაშა შიგთავსი მომხმარებელში აღტაცებასა და გაოცებას იწვევს. მისთვის ოთხი სახეობის ყველს – მოცარელას, ჩედერს, მენტალსა და გრიუიერს იყენებენ. რესტორნის შეფ-მზარეულები ყველისთვის ცისარტყელას ფერების მისანიჭებლად საკვებ საღებავებს ხმარობენ. მაგალითად, ხმელი ლავანდა ყველს ცისფერ ფერს სძენს, რეჰანი – მწვანეს, ტომატის ფხვნილი – წითელს, ფერთა ამ გამას კი ბუნებრივ, ყვითელ ფერს უმატებს თავად ნედლეული – ყველი. ცოტა ხანია, რაც ცისარტყელა-სენდვიჩები გაყიდვაშია და ის უკვე საკმაოდ პოპულარულია.

მარწყვი სისხლძარღვებს აჯანსაღებს

როგორც გაირკვა, მარწყვი არა მხოლოდ მისი დახვეწილი გემოს გამოა დაფასებული. მეტად მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევა ის, რომ მარწყვი სისხლძარღვებზე გამაჯანსაღებელ გავლენას ახდენს. იტალიელმა და ფრანგმა სწავლულებმა გამოკვლევები ჩაატარეს, რომლის შედეგადაც ამ სასურველი კენკრის ზოგიერთი განსაკუთრებული თვისება გამოვლინდა. აღმოჩნდა, რომ მარწყვი მეტად ეფექტიანად აღადგენს ქოლესტერინის დონეს, რაც მედიკოსებისთვისაც ნამდვილ აღმოჩენად იქცა. ექსპერიმენტისას, მოხალისეებს ყოველდღიურად 50 გრამი კენკრა უნდა მიეღოთ. ერთი თვის შემდეგ, როცა ექსპერიმენტი დასრულდა, მისი მონაწილეების სისხლის ანალიზი ჩაატარეს და ექსპერიმენტამდე აღებულ მონაცემებს შეადარეს. გაირკვა, რომ საერთო ქოლესტერინის დონე მნიშვნელოვნად შემცირდა. გარდა ამისა, შემცირდა ცხიმოვანი ნაერთების რაოდენობაც, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ გულის კუნთების მდგომარეობაზე. უფრო ადრე კი მკვლევარებმა დაადგინეს, რომ რაციონში მარწყვის შეტანა აქტიურ დაცვას ქმნის მზის გამოსხივების მიმართ, ეხმარება ორგანიზმს იმ ზიანის განეიტრალებაში, რაც ალკოჰოლითაა გამოწვეული. ასე რომ, მარწყვის სეზონიც მოვიდა და უარს ნუ იტყვით ამ მეტად სასარგებლო კენკრაზე.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.